# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 161 ოთხშაბათი, 22 ივლისი 1909 წ.



განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეულ სტრიქონს 4 საათამდე ღირს 3 შ., ოთხი საათის შემდეგ მეტი ღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში [illegible] რა-ქმეების გარდა, დილის 9 საათიდან [illegible] თი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები [illegible] დავ მცირე წერილებს და კორ[illegible] ნება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მიღორრიგები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



# დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ივლისიდან წლის ბოლომდე—5 მ. 10 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური —— დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.


აზნ. ასლან მოსეს ძე, მინადორა კონსტანტინეს ასული, არკადი მოსეს ძე, ვლადიმერ ასლანის ძე ავალიანები, ნადეჟდა და ვასილ კაშიაძეები და სილიბისტრო ლორთქიფანიძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი ორი—საყვარელ შვილის, მესამე—ძმისწულის, მეოთხე და მეხუთე—ძმის, მეექვსე—ცოლის ძმის და უკანასკნელი—დისწულის

## გალაქტიონ ასლანის ძის ავალიანისას.

ცხედარი მეტეხის ციხეშია. წირვა და პანაშვიდი მეტეხის ციხეში დღეს, 22 ივლისს. გამოსვენება ნაშუადღევის 3 საათზე: დაკრძალვა ამავე დღეს კუკიის წმ. ნინოს მართლ-მადიდებელთა სასაფლაოზე.

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქ. ქუთაისში 18 ივლისს გარდაიცვალა სტატსკი სოვეტნიკი

## თავ. სიმონ დავითის ძე გუგუნავა,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობებს ქვრივი განსვენებულისა ფეოდოსი ნიკოლოზის ასული კნეინა გუგუნავასი, შვილებით თავადნი დავით და გრიგოლ გუგუნავები, ცოლის ძმა თავ. სიმონ ნიკოლოზის ძე ლორთქიფანიძე, ცოლის დები კნეინა სოფიო ნიკოლოზის ასული მიქელაძისა, ელენე ნიკოლოზის ასული ლორთქიფანიძისა და ქვისლი თავ. მიხეილ ლევანის ძე ლორთქიფანიძე, გამოსვენება დანიშნულია ხუთშაბათს, 23 ივლისს, დილის 9 საათისთვის, გენერლის ქ., სახლი ქალაქის გამგეობისა, საიდანაც სობოროში წირვის მოსმენის შემდეგ ცხედარი წასვენებულ იქნება ს. ბაკისუბანში, პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 ს. (1—კვ.—1)


## რეალური სასწავლებელი ოზურგეთში

ამა წლის სექტემბრიდან ქალაქ ოზურგეთში უნდა დაარსდეს რეალური სასწავლებელი. საზოგადოებებმა თანხმობა გამოაცხადეს შემოიტანონ 60.000 მანეთი სასწავლებლის ასაშენებლად და 10.000 მანეთი პირველ მოსაწყობად, რომლის შეკრებას საზოგადოებანი უკვე შეუდგნენ. ეს თანხა სასწავლებლის სავსებით მოსაწყობად არ არის საკმაო. ამისათვის, მთელი გურიის წარმომადგენელთა კრების წინადადების თანახმად, სამაზრო სასკოლო კომისიამ დაადგინა, მიიღოს შემოწირულებით იმ პირთაგან, რომელთაც სურვილი განაცხადეს და აწ განაცხადებენ დაეხმარნენ გურიაში რეალურ სასწავლებლის აღორძინებას.

წარმომადგენელთა კრების და სამაზრო სასკოლო კომისიის დადგენილების თანახმად, შემოწირული ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით:

Въ г. Озургеты, Городскому Старостѣ Бебуришвили для врученія казначею по реальному училищу кн. Димитрію Константиновичу Эристову. (10—10)

ექიმ ვ. ღამბაშიძის

## სანატორიუმი

გაიხსნა 15 ივნისს. არის რამდენიმე ადგილი მოზრდილთათვის საერთო ოთახებში.

დაწვრილებითი პირობები წერილით ბორჯომს.

Въ мѣст. Боржомъ. Платформа Гамбашидзе, Санаторіумъ Гамбашидзе. (0—11)

**ექიმი** კბილისა ნ. რცხილაძე დროებით ქალაქიდან გავიდა. ავადმყოფების მიღებას ენკენისთვის პირველიდან განაახლებს. (10—9)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პრ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** ე. გაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—4 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნაკი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—კვ.—17)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—4 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (9. 116,

**ექიმები** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. ბლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. ამფორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (6—586—300)

**ექიმი** ვ. ღამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** ა. ს. ალადაშვილი ბორჯომში, ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიულ საფაკულტეტო კლინიკისა; იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 11—1 ს. საღამოთი 6—7 ს. ურუხოვსკის ქ., N 34, აგარაკი ზუბალაშვილისა. (25—321—17)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. გიროჩნი, N 9. (უ)


## ტფილისი 20 ივლისს

მცირე საერობო ერთეულის გარდა, რომელზედაც კვირის №-ში გვქონდა ლაპარაკი, ნამესტნიკის ცირკულიარი აღნიშნავს კიდევ ერთ ახალს საერობო ერთეულს, აგრეთვე არ არსებულს შიდა რუსეთის ერობაში. ეს არის—ამიერ-კავკასიის საოლქო ერობა. ამ ერთეულის მდგომარეობისა და მნიშვნელობის გასაგებად საჭიროა ნამესტნიკის მთელის საერობო შენობის გეგმის გათვალისწინება.

ნამესტნიკის პროექტში მცირე საერობო ერთეულს მიჰყვება სამაზრო ერობა იმ დამატებით, რომ, თუ ახლანდელი ადმინისტრატიული დაყოფა ჩვენის განაპირა ქვეყნისა მიზანს არ შეეფერება, შეიძლება ახალის დაყოფვის გეგმა შემუშავდეს. მაშინ სამაზრო ერობათა ადგილს დაიჭერენ ეს ახალი სარაიონო ერთეულები (округъ), რომელთა კომპეტენცია ცოტათი უფრო ფართო იქნება, ვიდრე რუსეთის ახლანდელ სამაზრო ერობის კომპეტენცია არის. შემდეგ პროექტი გვერდს უხვევს საგუბერნიო ერთეულს და პირდაპირ საოლქო ერობაზე გადადის, ესე იგი, მთელი ამიერ-კავკასია შეერთებული იქნება ერთ უმაღლეს საერობო ერთეულში. ამნაირად, სამსართულიანი ერობა გამოვა: მცირე ერთეული, სამაზრო ან სარაიონო ერობა და ბოლოს საოლქო ამიერ-კავკასიის ერობა, რომლის კომპეტენცია ცოტათი აღემატება შიდა-რუსეთის საგუბერნიო ერობის კომპეტენციას.

რამდენად მიზნის შესაფერისი და სასარგებლოა ასეთი გეგმა მომავალ საერობო შენობისა?

პირველად ყოვლისა ჩვენს ყურადღებას იწვევს ამიერ-კავკასიის საერთო საოლქო ერობა. საჭიროა და სასარგებლო ასეთის ახალის ერთეულის დაწესება? ერობის დანიშნულებაა—გაუძღვეს ადგილობრივ სამეურნეო და კულტურულ საქმე-საჭიროებათ. ყოველი საერობო ერთეული მით უფრო კარგად და ნაყოფიერად გაუძღვება ამ დანიშნულებას, რაც უფრო მცირე იქნება და რაც უფრო მსგავს რაიონებს შეაერთებს. ერობის ერთეულმა უნდა შეაერთოს ისეთი ნაწილები ჩვენის ქვეყნისა, რომელთაც საერთო ეკონომიური ცხოვრება აქვთ, რომელთაც, საზოგადოდ, მსგავსი ინტერესები აქვთ. ამიერ-კავკასია ერთობ დიდი ერთეულია, რომლის ზოგ ნაწილებს შორის არავითარი მსგავსება არაა, არც ეკონომიური არც კულტურული. ჩვენ გვესმის ამ ნაწილების გაერთიანება პოლიტიკურ თვითმართველობისათვის, მაგრამ სამეურნეო თვით-მართველობის საქმეს ასეთი ხელოვნური გაერთიანება სხვა და სხვა მეურნეობის და კულტურის ერთეულობისა ავნებს და დააბრკოლებს. რა სამეურნეო მიზნებისათვის არის, მაგალითად, საჭირო ქუთაისის და ბაქოს გუბერნიების გაერთიანება ერთ უმაღლეს საერობო ერთეულში? ასეთი გაერთიანება შეჰქმნის უზარმაზარ ცენტრალისტურ შენობას, რომელიც თავის ნაწილებს ვერ მოუვლის, თავის შემადგენელ ნაწილებს ვერავითარ სამსახურს ვერ გაუწევს.

ნამესტნიკის პროექტი საოლქო ერობის საჭიროებას ასაბუთებს იმ მოსაზრებით, რომ უკვე ამ ჟამად მთელ ამიერ-კავკასიას აქვს ზოგი საერთო დაწესებულებაო, როგორც მაგალითად, მიხეილის საავადმყოფო და საბებიო ინსტიტუტი ტფილისშიო. საქმეც ისაა, რომ ამ დაწესებულებათა საერთო საერობო ხასიათი მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ მათზე მთელი ამიერ-კავკასია ხარჯავს ფულს, მათი სარგებლობა-კი მხოლოდ ტფილისს და ახლო ადგილებს შეუძლიათ; დანარჩენ ამიერ-კავკასიას ეს დაწესებულებანი ან ძალიან მცირედ ემსახურებიან, ან სრულიადაც არ ემსახურებიან და ამათ გულისათვის ერთის საოლქო ერობის დაწესება განა ღირს?..

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ რამდენისამე წლის წინად, როცა ნამესტნიკის თაოსნობით პირველად გაიმართა ჩვენს საზოგადოებაში კამათი ერობაზე, ქართველ ინტელიგენციის ერთ ჯგუფს აგრეთვე ჰქონდა წინ წამოყენებული პროექტი საოლქო ერობისა. ამათ დებულების პროექტიც-კი ჰქონდათ შავად შემუშავებული და აზრი საოლქო ერობის შესახებ გატარებული იყო იმ გეგმაში. მაგრამ იმ ჯგუფს კარგად ესმოდა, რომ მთელის ამიერ-კავკასიის შეერთება ერთ საოლქო ერთეულში არ შეიძლება და ამიტომ ორ ნაწილად გაჰყვეს ამიერ-კავკასია და ორი საოლქო ერობა დაუსახეს: 1) დასავლეთ ამიერ-კავკასია (სოხუმის და ბათუმის ოლქები, ქუთაისის და ტფილისის გუბერნიები) და 2) აღმოსავლეთ ამიერ-კავკასია (დაღესტნის ოლქი, ბაქოს, განჯის და ერევნის გუბერნიები და ყარსის ოლქი) ასეთი დაყოფა ჩვენის განაპირა ქვეყნისა ნაკლებად ხელოვნური იქნებოდა, თითოეულს ნაწილში უფრო ერთგვარის მეურნეობისა და კულტურის რაიონები მოჰყვებოდნენ და ამიტომ მათი საოლქო საერობო ერთეულიც უფრო მიზნის შესაფერისნი იქნებოდნენ და უფრო მეტს სარგებლობას მოუტანდნენ ჩვენს ქვეყანას. და თუ მაინცა და მაინც საჭიროდ სთვლიან ჩვენში საოლქო ერობის დაწესებას, ჩვენის აზრით, უფრო ხელსაყრელი იქნება მთელს ქვეყნისათვის—ორი ნაჩვენები საოლქო ერთეულები დაარსდეს, ვიდრე ნამესტნიკის მიერ განზრახული ერთი ამიერ-კავკასიის ერობა, რომელიც შეუერთებელს აერთებს და შეუძლებელ საქმეს აკისრებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სჯობს ამ საოლქო ერობის სრულებით ავუქციოთ გვერდი და დავკმაყოფილდეთ იმ ერთეულებით, რომელნიც არსებობენ შიდა-რუსეთის ერობაში, მით უმეტეს, რომ თუ საჭიროება მოითხოვს, ზოგიერთ საერთო საქმის მოწყობისა ან გაძღოლისათვის ყოველთვის შეიძლება უმთავრეს საერობო ერთეულების წარმომადგენელთა კრებები გაიმართოს ხოლმე. ამას შიდა რუსეთშიაც აქვს ადგილი: საგუბერნიო ერობათ აქვთ საზოგადო-საერობო საქმენი (общеземскія предпріятія), რომელთა მოსაწესრიგებლად დროგამოშვებით საგუბერნიო ერობათა წარმომადგენლების კრებებს ჰმართავენ ხოლმე...

ამრიგად, ჩვენის აზრით, ამიერ-კავკასიის საერთო საოლქო ერობა უსარგებლო დაწესებულება იქნება და თუ ამაზე მივიდა საქმე, ისევ სჯობს ორი საოლქო ერობა დაწესდეს: ერთი დასავლეთ ამიერ-კავკასიისთვის, მეორეც—აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიისთვის.

არ იქნება მეტი, ისიც ვიქონიოთ მხედველობაში, რომ არც მთავრობა, არც მესამე სათათბირო არ დასთანხმდებიან—ამიერ-კავკასია გააერთიანონ ერთ წარმომადგენლობით დაწესებულებაში: მაშინვე „კავკასიის სეპარატიზმი" მოელანდებათ... ამიტომ, უმჯობესი იქნება აწ დაწყებულმა ბჭობამ არსებულ ერთეულების უკეთ გამოყენებისა და მოწყობის საკითხს მიაქციოს ყურადღება. მაგრამ ამაზე შემდეგ.


ახლად გახსნილი

ტფილისის

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. დ. ლამბაშიძე—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

ბ. ა. პოპოვი—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კლინიკაში მორიგებით. (წლ.—ნ.—114)

**ექიმი** კაკიტელაშვილი ქუთაისში 1 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ლომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით 9—1 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—ნ.—23)

გამოცდილი

## მასწავლებელი

(რუსი) ემზადებს გაკვეთილებს. ამზადებს ყველა საშუალო სასწავლებელში. სპეციალურად—ლათინური და რუსული. ადრესი დასტოვეთ „დროების" რედაქციაში. (8—ნ.—8)

ქ. ფოთში

ქ-ნ ნ. ბ. ლოლუას თაოსნობით

## ი-ზ-ს-ნ-ე-ბ-ა

ქალთა კერძო პროფესიონალური სკოლა, სადაც გარდა სხვა-და-სხვა ხელობისა ქალიშვილებს ასწავლიან რუსულს, ქართულს და ანგარიშს. გადასახადი, მოწაფეების ნასიამოვნოდ, ყველასათვის ხელმისაწდომია. (10—ფ.—8)


## ბრძოლა თავისუფლებისათვის სპარსეთში

### დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

21 ივლისი.

**თეირანი.** ჩამოახრჩეს არტილერიის შტაბის უფროსი იზმაილ-ხანი. თვალები დასოხარეს თეირანელ სეიდების მეთაურის შვილს წავიბუს-სადიტს. დააპატიმრეს ფინანსთა მინისტრად ნამყოფი ემირ ნიზ მულ-მულკი. მას ჰბრალდება 1907 წლის დეკემბრის ამბებში მონაწილეობა.

### ჟურნალ-გაზეთებიდან

**ტაგი-ზადე.**

ამ დღეებში ლეპეშამ გვაუწყა, რომ სპარსელ კონსტიტუციონალისტების მეთაური ტაგი-ზადე თავრიზიდან თეირანს წავიდაო.

სეიდ-ჰასადა ტაგი-ზადე ცნობილ თავრიზელ მუშტეიდის ალი-სეიდტაგის შვილია. მას ყმაწვილობიდანვე შეუყვარდა თავისუფალი აზრები, რისთვისაც ხშირად უწყრებოდა ხოლმე მისი ფანატიკოსი მამა. სპარსეთში ცხოვრება რომ გაუჭირდა, ტაგი-ზადე საზღვარ-გარედ წავიდა. მან მოიარა კავკასია, ოსმალეთი, ეგვიპტე და დასავლეთი ევროპა, გაიცნო ევროპის კულტურა და მეცნიერება. საზღვარ-გარედ იგი თანამშრომლობდა პროგრესიულ სპარსულ გაზეთებში და ამით სახელი მოიპოვა სპარსელ პროგრესისტებში. ტაგი-ზადე თავრიზელებმა თავიანთ დეპუტატად აირჩიეს პირველ მეჯლისში. მეჯლისში ტაგი-ზადემ თავი ისახელა მჭევრ-მეტყველობითა და პროგრესიულ იდეებით, ყველა პროგრესისტ დეპუტატს ერთად მოუყარა თავი და მათგან ცალკე ჯგუფი შეადგინა. რეაქციონერები მალე გადაემტერნენ ტაგი-ზადეს და ყოველნაირად ცდილობდნენ მის გავლენის გაქარწყლებას; ამისთვის ისინი არავითარ ღონისძიებას არ ერიდებოდნენ; ერთხელ ტაგი-ზადეს ფულით შესყიდვასაც კი შეეცადნენ, მაგრამ, რასაკვირველია, ვერას გახდნენ. მამედ-ალი-შაჰმა თურმე არა ერთხელ უთხრა თავის მომხრეებს: გულით მსურს მაგ წყეულ ტაგი-ზადეს თოფით დახვრეტაო. მაჰმედ-ალი-შაჰმა სხვა დეპუტატთა შორის ტაგი-ზადეს გაცემაც მოსთხოვა მეჯლისს. მეჯლისი რომ გაანადგურეს, ტაგი-ზადე ინგლისის საელჩოში ჩაჯდა ბესტში. მერე ინგლისის ელჩის მოწმობა გამოართვა და საზღვარ-გარედ წავიდა. პარიზსა და ლონდონში იგი კრებებსა და გაზეთებში აგიტაციას ეწეოდა მაჰმედ-ალი-შაჰის წინააღმდეგ. წარსულ ზამთარს ტაგი-ზადე დაბრუნდა თავრიზში და სათარხანს დაუჭირა მხარი. თავრიზელებმა იგი ადერბეიჯანის საოლქო ენჯუმენის წევრად აირჩიეს. იმედია, რომ ტაგი-ზადე მომავალ მეჯლისშიაც დიდ როლს ითამაშებს.

**თეირანის პოლიცმეისტერი ხაფანგში გაება.**

ამ დღეებში თეირანის პოლიცმეისტერს ეფრემს მოახსენეს, რომ თეირანის განაპირა უბანში ვაჭარ ჰასან-ხანის სახლში რეაქციონურ პარტიის მეთაურები შეიკრიბნენ და თათბირი გამართეს, როგორ დაუბრუნონ მამედ-ალის ტახტიო.

ეფრემი მაშინვე გაქანდა იმ სახლისკენ და თან მხოლოდ სამი ფიდაი წაიყვანა. რა წამს მივიდა ხსენებულ სახლის ეზოში, მას ვილაცები ეცნენ და ხელ-ფეხი შეუკრეს. გათოკეს მისი მხლებლებიც.

ეფრემმა და მისმა ფიდაებმა მთელი ღამე ბნელ, მყრალ სარდაფში გაატარეს, ხოლო მეორე დილის ისინი ჯორებზე დაკრეს და ხამადანში გაგზავნა დაუპირეს, მაგრამ სწორედ ამ დროს იმ სარდაფში გაჩნდა ეფრემის თანაშემწე ყაზახებით და ეფრემი და მისი მხლებლები გაანთავისუფლა. პოლიცმეისტერის თანაშემწეს ერთი შეთქმულთაგანი შეესყიდნა ფულით და მისგან შეეტყო ეს ამბავი. („რ. უ.").

**რეაქციონერების მოქმედება.**

თეირანში ცნობები მიიღეს სპარსეთის ქალაქებიდან—მეშედიდან, მეშედესერიდან, შირაზიდან, ბენდერბუშირიდან, ქირმანშაჰიდან, არდებილიდან და სხვებიდან, რომ იქ რეაქციონერები მხნედ მოქმედებენო. ჩამოთვლილ ადგილებში კონსტიტუციონალისტებს თურმე ერთი ჯარის-კაციც არა ჰყავთ, ხოლო მამედ-ალი-შაჰის მომხრეები-კი დიდ აგიტაციას ეწევიან კონსტიტუციის წინააღმდეგ და აქეთ-იქით გაფანტულ შავრაზმელებს ისევ ერთად უყრიან თავსა. რეაქციონერები თურმე დიდ ფულს ურიგებენ ღარიბ ხალხსა. სამღვდელოების რეაქციონური ნაწილიც ბეჯითად ეხმარება მამედ-ალის მომხრეებსო.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

21 ივლისი

### რევოლიუციონური მოძრაობა ესპანიაში.

**სერბერი.** ბარსელონის ქუჩებზე, ჯერ ისევ ბრძოლაა. როგორც ხმა დადის, ციხეში გაუსამართლებლად დაუხვრეტიათ 40 მეამბოხე. სხვათა შორის, სოციალისტების მეთაური იგლეზიასი.

**სან-სებასტიანი.** ხვალ აღადგენენ რკინის გზის მიმოსვლას ბარსელონასა, სერბერსა, სარაგასსა და ვალენსიას შუა. ადგილობრივ, ბარსელონის გარშემო მიმოსვლა უკვე აღდგენილ იქნა. მართალი არ არის, ვითომ სიკვდილით ზევრნი დაესაჯათ. განაჩენები მინისტრმა უნდა დაამტკიცოს.

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** უეცრად გარდაიცვალა პალატის საგამომძიებლო კომისიის წევრი, დეპუტატი ბაზიგიანი. იგი კომისიაში ადანაში იყო ოკლებაწიოკების საქმის გამოსაძიებლად. ბაზიგიანს საქმე არა ჰქონდა გათავებული. მან გამოაქვეყნა ადანის მოხელეთა მოქმედებანი.

სკუტარის მუტესარიფი, ახალ-

გაზრდა ოსმალთა პარტიის წევრი, ჯელალი დაინიშნა ადანის ვალიად.

### საზღვარ-გარედ.

**მერბურგი.** ფალიერისა და ხელმწიფე-იმპერატორის შეხვედრამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა საფრანგეთის და რუსეთის კავშირის სიმტკიცე. საფრანგეთის ფლოტის დათვალიერების დროს ხელმწიფე-იმპერატორმა არა ერთხელ განაცხადა, საფრანგეთის ფლოტი კარგ შთაბეჭდილებას ახდენსო. ხელმწიფე დიდ-ხანს ელაპარა აფიცრებს. ხელმწიფემ სიხარულით აღნიშნა ის ფაქტი, რომ ორივე სახელმწიფო ლონიერია სამხედრო ძალით, რაიცა დიდი გარანტიაა მშვიდობიანობის დასაცველად. საფრანგეთ-რუსეთის კავშირის მთავარი დანიშნულება ის არის, რომ მშვიდობიანობა დაიცვასო. ამავე აზრისანი არიან გარეშე საქმეთა მინისტრები პიშონი და იზვოლსკი.

**სპიცგელი.** გემ „შტანდარტით" ინგლისში ჩამოვიდა ხელმწიფე-იმპერატორი. ხელმწიფე-იმპერატორს მიეგებნენ მეფე, დედოფალი და სამეფო გვარის წევრები.

**ლონდონი.** კონსერვატიული პრესსა მეგობრულის კილოთი სწერს ხელმწიფე-იმპერატორის მოსვლაზე. რადიკალური „მორნინგ-ლიდერი" სწერს: „ხელმწიფე-იმპერატორის ჩამოსვლამ წმინდა ოფიციალური ხასიათი აქვს. ინგლისელების სალამს რაღაც აკლია. სახელმწიფო სათათბირო რუსეთში ნამდვილ, რეალურ დაწესებულებად უნდა გადაიქცეს, მინისტრები პასუხისმგებლები უნდა გახდნენ სათათბიროს წინაშე. თუ რუსეთში ყველაფერი წინანდებურად დახშული დარჩება, ინგლისელები იძულებულნი იქნებიან მიგებებაზე და სალამზე ხელი აიღონ.

გრეიმ მიიღო წერილი. წერილში ხელი უწერიათ მწერლებს, ბერებს, პროფესორებს და პარლამენტის წევრებს. ეს უკანასკნელნი ინგლისის მთავრობას სთხოვენ, ყოველივე ღონე იხმაროს, რომ როგორმე შეამსუბუქოს რუსეთის ეხლანდელი უკუღმართი ცხოვრება.

**სტოკჰოლმი.** მრეწველებმა ლოკაუტი გამოაცხადეს. დაითხოვეს 80 ათასი მუშა, მათ შორის 30,000 მუშა რკინის ქარხნებიდან.

**ალხუსემასი.** მავრებმა ციხეს ზარბაზნები დაუშინეს.

### რ უ ს ე თ ი

**ოდესსა.** კადეიბერს მახლობლად მატარებლები ერთმანეთს დაეჯახნენ. დაიმტვრა ორთქლმავალი და ორი ვაგონი. მძიმედ დაშავდა კონტროლიორი.

**ოდესსა.** ოკუპაციის გათავების გამო კუნძულ კრიტედან ჩამოვიდა მსროლელთა მე-13 პოლკი.

### ხ ო ლ ე რ ა

**პეტერბურგი.** 20 ივლისს ხოლ ერით ავად გახდა 30, გარდაიცვალა 21, ავად არის 540 კაცი.

**არხანგელსკი.** ავად გახდა 9, გარდაიცვალა 4 კაცი.

**მაიორენგოფი.** რიგაში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 3 კაცი; მაზრაში ავად გახდა 1 კაცი.

**ტვერი.** 18—20 ივლისამდე ავად გახდა 2 კაცი.

**იაროსლავი.** რიბინსკსა და მის მაზრაში ავად გახდა 6, გარდაიცვალა 5 კაცი. იაროსლავის მაზრაში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1 კაცი.

**ვოლოგდა.** სენის დაწყებიდან 18 ივლისამდე ავად გახდა 292, გარდაიცვალა 149 კაცი.

**კრონშტანტი.** 18 ივლისს ავად გახდა 1 კაცი. 19 ივლის ავად არავინ გამხდარა ავად არის 8 კაცი.

**პეტერბურგი.** ნიჟე-გოროდის გუბერნია ხოლერის მხრივ საშიშოდ იქნა გამოცხადებული.

## ვლადიმერ ლორთქიფანიძის ხსოვნას.

(შემდეგი *)

იმ დღეს წინ, როდესაც გამოცდა უნდა ჰქონოდა ვლადიმერს, გავემართე გიმნაზიისაკენ. შევდივარ გიმნაზიის მისაღებ ოთახში. მრავალი მთხოვნელია. დირექტორი სდგას მაგიდასთან და მთხოვნელები გარს არტყია ნახევარ წრედ. მეც მიველ წრესთან, დავდეგ და ველოდები ჯერს. ჯერი კიდევ არ მოსულიყო ჩემზე. დირექტორმა გამოიხედა ჩემსკენ და დამინახა. მე სალამი მივეცი. იმან მიპასუხა, მაგრამ ცივად მეჩვენა მისი სალამი. რა გნებავთო, მკითხა. მე მივუგე, რომ აქ ჩემი მოწაფე გადმოდის გიმნაზიაში, რასაკვირველია, ეგზამენი უნდა დაიჭიროს და გთხოვთ ნება დამრთოთ, ყური დავუგდო გამოცდას; მე ერთ სიტყვასაც არ ამოვიღებ, მხოლოდ მსმენელი ვიქნები, რომ გავიცნო-მეთქი თქვენი საეგზამენო მოთხოვნილებანი. ეგ ჩვენი საერთო საქმისათვის სასარგებლოც იქნება-მეთქი, რადგან მომავალშიაც იქნებიან მსურველები გადმოსვლისა თქვენდამი რწმუნებულს გიმნაზიაში.

— რომელს კლასში შემოდის თქვენი მოწაფე? —მკითხა.

— მეოთხეში—ვუპასუხე.

— როგორ თუ მეოთხეში? მეოთხეში ვერ დაიჭერს ეგზამენს!

— რატომ ვერ დაიჭერს? —ვკითხე.

— რატომ და იმიტომ რომ თქვენი იმ პროგრამით არა სწავლობენ, რომელიც მოითხოვება.

— როგორ არა, გარდა ქართულ ენისა, ყველა საგანში იმავე პროგრამით ვხელმძღვანელობთ, რომლითაც გიმნაზიაში ასწავლიან. ყმაწვილმა სამი კლასი დაასრულა ჩვენთან და ახლა თქვენთან გადმოდის მეოთხეში.

— არა, აარა, იმ პროგრამით არ ასწავლით. ვერ დაიჭერს, ვერა!

— მე იმ სასწავლებლის ხელმძღვანელი ვარ და ძალიან კარგად ვიცით, რა საგნებს ვასწავლით და რა პროგრამით. თქვენ ერთხელაც არ ბძანებულხართ ჩვენს სასწავლებელში და მეუბნებით, ვერ დაიჭერს, იმ პროგრამით არ ასწავლითო. ძლიერ მაკვირვებს თქვენი სიტყვები! მაგრამ ჰო, მეც დაგეთანხმებით. მართლაც ვერ დაიჭერს. იმიტომ ვერ დაიჭერს, რომ თქვენ, ბ-ნო დირექტორო გიმნაზიისა, რომელშიაც შემოდის ჩემი მოწაფე, წინდაწინ, როდესაც ჯერ კიდევ ერთი კითხვაც არ მიგიციათ მოწაფისათვის, ბრძანებთ—ვერ დაიჭერსო. ამას ბრძანებთ თქვენ, რომელიც არასოდეს არა ყოფილხართ ჩვენს სასწავლებელში და არ იცით იქაური ვითარება. ყოველს შემთხვევაში უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ, დავესწრო გამოცდას და ყმაწვილი მეოთხე კლასისათვის გამოსცადოთ.

ამ ჩვენს ბჭობას მთხოვნელებიც ყურს უგდებდნენ. ბოლოს მითხრა დირექტორმა ცივის ხმით, კარგი, მობძანდით ხვალ და ვნახოთ, რა იქნებაო. მიველ მეორე დღეს. პირველად კარნახი დააწერინეს რუსულში, შემდეგ ზეპირად გამოცდას შეუდგნენ. ვლადიმერი პირველი არ იყო, რომელსაც გამოუძახეს ზეპირ გამოცდაზე, და ამიტომ კაი ხანს მოგვიხდა ლოდინი. ბოლოს იმაზე დაც მივიდა ჯერი. უნდა გამოეკადათ: სღმრთო სჯულში, რუსულში, ლათინურში, ბერძნულში, ფრანგულში, არითმეტიკაში და გეოგრაფიაში თქვენ რას ჰფიქრობთ? ბ-ნმა დირექტორმა ამდენი საგანი გაჰყო ორ-სამ ნაწილად და ორს-სამს დღეს სწარმოებდა გამოცდა, რომ მეტად არ დაღალულიყო ყმაწვილი და არ გაძნელებოდა საქმე? სრულიადაც არა! გამოუძახეს ყმაწვილს, დააყენეს ფეხზე ერთ ადგილს და ჰკითხეს და ჰკითხეს. ჰკითხავდნენ განუწყვეტლივ. ჯერ ერთ საგანში ჰკითხავდნენ დიდხანს, მერე—მეორეში, შემდეგ—მესამეში და ასე, სანამ ლონე ჰქონდა. ბოლოს ყვითელმა ფერმა გადაჰკრა ყმაწვილს, დაბარბაცდა, ის იყო უნდა დაცემულიყო იატაკზე, მივეშველე და ვსთხოვე დირექტორს, შეიბრალეთ, ცოტა ხანს შეასვენეთ-მეთქი. მომცეს ნება. ერთს თუ ორს საგანში სალმოსათვის გადუდვეს გამოცდა, სხვებში ყველაში სადილობამდის გამოსცადეს და, როგორც უკვე მოგახსენეთ, სტანჯეს, სანამ გული არ წაუვიდა კინაღამ. რომ სრულად იცოდეთ, რაც მაშინ მოხდა, და ბ-ნ დირექტორის გულკეთილობაც არ დავივიწყოთ, საჭიროა მოვიხსენოთ კიდევ ერთი ფაქტი. საოცარი იყო დასაწყისი გამოცდისა. თმა-გაჩეჩილი და წვერებ კაბურძგნული (რაიცა უხდებოდა იმ წუთას მისს სულიერ მდგომარეობას) დირექტორი ქორივით დაეტაკა ვლადიმერს და სეტყვასავით დააყარა კითხვები ბერძნულ ენიდან და გეოგრაფიიდან. ეს იყო ის საგნები, რომელთა ცოდნითაც თავი მოჰქონდა ბ-ნ დირექტორს და, რომლებშიც უწინარეს ყოვლისა ინება მან ყმაწვილის გამოცდა. ვგონებ, ეს ქცევა წინად განზრახული ღრმა სტრატეგიული ზომა იყო ყმაწვილთან საომრად: იფიქრა, აქ საგნებში მოუჭერ ხელს და შემდეგ გულგატეხილმა, შეიძლება, სხვა საგნებშიაც ჩაიკოჭლოსო. გაჰკრა გამოჰკრა კლანჭები, გული იჯერა და სთქვა, არარის ამ საგანში მომზადებულიო. ძლევა-მოსილი მომიბრუნდა და მითხრა: „აი, ხომ ჰხედავთ, რომ არა სცოდნია ეს საგნები? შეიძლება ამას შემდეგ საქმე დაბოლოვებულადაც ჩაითვალოს და უარი გითხრად მაგრამ კითხვით მაინც ვკითხავთ სხვა საგნებშიაც". მე ვუთხარ, რომ ვხედავ მეთქი, ვხედავ, მაგრამ ჩემი თხოვნა გახლავთ—სულ ყველა საგნებში განიხილოთ საქმე და, რასაც საბჭო გადასჭრის, ის გამოგვიცხადოთ მეთქი. იმინა თხოვნა. გამოსცადეს სხვა საგნებშიაც და, მიუხედავად სასტიკს მოთხოვნილებისა, რომლის ხელმძღვანელი იყო ბოლომდის თითონ ბ-ნი დირექტორი, ყმაწვილმა მომზადება გამოიჩინა. ბერძნულსა და გეოგრაფიას თითონ გიმნაზიის მასწავლებლები ასწავლიდნენ, რომელნიც მოწვეულნი იყვნენ ჩვენ მიერ დირექტორის თანხმობით. გამოცდის დროს ახლოსაც არ მიიკარა დირექტორმა ის ბერძნულის მასწავლებელი. საწყალმა მასწავლებელმა ერთხელ, როდესაც მისცეს ვლადიმერს კითხვა გარეშე საგალდებულო კურსისა, მოაგონა დირექტორს, რომ ეს მაინცა და მაინც არ მოეთხოვებათ მესამე კლასშიო. მაგრამ იმან ისეთნაირად გადმოუბრიალა თვალები, რომ კინაღამ შიშით გააქრო. ადგა კუდამოძუებული მასწავლებელი და გავიდა გარედ. გვერდით რომ ჩამიარა, მითხრა—ხომ ჰხედავთ, როგორ იქცევა, რა უნდა ვქნაო.

საბჭომ მოისმინა შედეგი გამოცდისა ყველა საგნებში და, შემდეგ დირექტორის სიტყვებისა, დაადგინა, მიღებულ იქნას ვლადიმერ ლორთქიფანიძე მეოთხე კლასშიო. არა გნებავთ მოისმინოთ, რა სიტყვები იყო დირექტორის სიტყვები? „ბერძნულს ენაში და გეოგრაფიაში ვერ არის მომზადებული, მაგრამ ამას მე მივიღებ ჩემს თავზე (დახეთ დიდსულოვანებას მისას ალმატებულესობისას!) და ნუ დავაბრკოლებთ, მივიღოთო".

გიმნაზიაშიაც კარგის წარმატებით სწავლობდა ვლადიმერი და, გიმნაზია რომ დაასრულა, გაემგზავრა უნივერსიტეტში. მე შორიდგან ყურს ვადევნებდი მისს სწავლას. ჩინებულად დაასრულა სწავლა უმაღლეს სასწავლებელში და როდესაც დაბრუნდა სამშობლოში, ერთსა და იმავე დროს ორს სკოლაში ეწეოდა მოძღვრებას თავის ქვეყნისთვის; ტფილისის ქართულ გიმნაზიაში—ყრმათათვის და ქართულ გაზეთებსა და ჟურნალებში—მოწიფულთათვის. მოხარული ვიყავი, რომ ვხედავდი მას ქართველ მოღვაწეთა რაზმში მშრომელად. ძნელია ამ რაზმში მუშაობა, რადგან ათასნაირი დაბრკოლება ელობება წინ, მაგრამ ვლადიმერი, რამდენადაც ნებას აძლევდა ჯანმრთელობა, შრომას და დაბრკოლებას არ ერიდებოდა. დაბრკოლებასთან ბრძოლა თავიდანამე დაჰყვა მას. ნიმუში ბრძოლისა მაშინ განიცადა, როდესაც გიმნაზიაში შედიოდა და გიმნაზიის უფროსმა ისე მოყვრულად მიგვიღო მე და იგი.

**ალექსი ჭიჭინაძე.**

## კიდევ პროვოკატორი

**გარტინგი და აზეფი.**

პარიზიდან პეტერბურგში ჩამოსულა ბურცევის დაახლოვებული მეგობარი გ., რომელსაც „გოლ. მოსკვი"-ს კორესპონდენტისათვის, ბურცევის შემდეგი სიტყვები გადაუცია: გარტინგი აზეფთან იმ დროს დამეგობრდა, როდესაც სოციალისტ-რევოლიუციონერებში გერშუნი მუშაობდა. გარტინგ-ლანდეზენი აზეფის ხელმძღვანელი იყო, აზეფი გარტინგთან ერთად [illegible] სხვა და სხვა პროექტებს [illegible] რევოლიუციონერებში [illegible] და. ეგნო აზეფი ძალიან ხარბი კაცი იყო, უყვარდა ფულები; ფულის გულისათვის ყველაფერს გააკეთებდა, ამიტომ იყო, რომ აზეფი საშიშა საქმეებს კისრულობდა, მუდამ რევოლიუციონერებში ტრიალებდა და სამაგიეროდ ფულს ბლომად თხოულობდა. აზეფი და გარტინგი „საქმის" გათავების შემდეგ საზღაურს იღებდნენ და მერე იყოფდნენ. მაგალითად, სოციალისტ-რევოლიუციონერების ჩრდილოეთის ორგანიზაციის და ამ ორგანიზაციის კარლის გაცემისა და პეტერბურგის ტერორისტთა ერთი ჯგუფის და მის მეთაურ იტალიელ კალვინოს გაცემისათვის აზეფმა აიღო 29,000 მანეთი, აქედან გარტინგს დახმარებისათვის ერგო 11,000 მანეთი.

გარტინგს საზღვარ-გარედ ლეგიალური თანამდებობა ეჭირა, ჰქონდა უფლება აგენტები სხვა და სხვა ქალაქებში და სახელმწიფოებში ეგზავნა. გარტინგი, როგორც აზეფის გულითადი მეგობარი, აზეფს ყოველ შემთხვევაში უხერხებდა სხვა და სხვა ადგილას გაგზავნას და ეს უკანასკნელი ბევრ შემთხვევაში ორ კურდღელს იჭერდა, ერთის მხრივ რევოლიუციონერებისაგან იღებდა ფულს, მეორეს მხრივ მთავრობისაგან, ერთის მხრივ რევოლიუციონერების, მეორეს მხრივ მთავრობის საქმეების გასაკეთებლად მიდიოდა. გარტინგმა მოახერხა, რომ აზეფი სხვა აგენტებთან ერთად სარატოვში წასულიყო და იქ სოციალისტ-რევოლიუციონერების კონგრესს დასწრებოდა. ამავე კონგრესზე ცენტრალურმა კომიტეტმა თავის წარმომადგენლად გაგზავნა აზეფი.

ბურცევს კიდევ აქვს ისეთი წერილები, რომლებიც ჯერ არ გამოუქვეყნებია. აზეფის საქმის გამორკვევის შემდეგ გარტინგ-ლანდეზენი-გეკელმან-პეტროვსკის. . თავის ერთ ბერლინელ მეგობრისათვის წერილი მიუწერია. წერილში, სხვათა შორის სწერია: მეგობარო! შენ მიხვდები რა მდგომარეობაში ვიქნები, რადგან იცი ჩემი წარსული. ეს ჭკუაზე შემშლიდა (ბურცევზეა ლაპარაკი) საიდგანღაც იგებს წარსულს, კაცს ეგონება იგი ყველა დეპარტამენტების და არქივების პატრონიაო, და სხვა და სხვა ამბებს აქვეყნებს. ამბობენ, რომ მას ბევრი პეტერბურგელი მოხელე ჰყვანის და მათ შორის თვით პოლიციის დეპარტამენტის დირექტორად ნამყოფი ლოპუხინიო. თუ ეს მა-



## ეტიუდები ქართულ ლიტერატურიდან

**ა. ყაზბეგი (ა. მოჩხუბარიძე).**

(შემდეგი *)

ბუნება უბედურებაში თუ ხელს უწვდის კაცს, ამ უბედურებასაც წინათ აგრძნობინებს, ბუნება, თითქო შეიგნებს რა, რომ უბედურება მოახლოვდა, რისხვით აღიჭურვება, მეხსა და ელვას ისვრის, წვიმით ცრემლებს აფრქვევს და ქარ-ბუქით ზუზუნებს.

როდესაც გრიგოლა (მაზლი) ძალით გატაცებულ რძალს—ნუნუს ძალით ნამუსის ახდის უპირებს, ბუნება წინ და წინვე მოელუშება და ქვეყანას აცყობინებს სამგლოვიარო ზარით, რომ დღეს რაღაც საშინელი ბოროტ-მოქმედება მოხდებაო.

„როდესაც გრიგოლა მოვიდა ქოხის კართან, მაზე გადაწვერილიყო და უკანასკნელ სხივებს ოქროსფრად მოეფარათ უსწორ-მასწოროდ აშვერილი კლდის წვერები. იმათ თითქოს უკანასკნელად ესალმებოდა ეს შუქი და **შეწუხებულის მთის წვერებს ამგვარის უძლურობით ფერი სცვლოდა ო,** ჩრდილოეთიდან შავ-შავი, როგორც მოწინავე ჯარი, წყნარად მიიპარებოდა ნისლის პატარა ნაჭრები და, ამათ ცოტა დაშორებით, შემოწყვეტილიყო მასავდ მოქცეული ნისლი. წინ უხვდებოდა კვირცხლი ნიავი, შლიდა, აბრუნებდა, ატრიალებდა, მაგრამ ნისლს თანდათან ემატებოდა; ის იზრდებოდა თანდათან და ჯერ შეუმცნევლად, თითო ნაბიჯით მიიპარებოდა; მერე ერთ-ბაშად დაჰბერა ჩრდილოეთის ქარმა და გამოსწია **შეუპოვარმა ნისლმა, აქამდისინ მხიარული დღე, ერთბაშად მოიქცა პირქუშ მგლოვიარედ.** ცა და დედა-მიწა მოიფერა ტყვიის ფრად და **ეს ფერი თითქოს მძიმე ლოდს ადებდა ადამიანის გულს.**

„ბოლოს, ერთბაშად შეტხა, მეწერდა ქარი, **გაჩუმდა ყოველისფერი ბუნებაში; თითონ ჩამონადენი წყლის ჩხრიალიც კი უფრო ყრუდ მოისმოდა,** კაკბების კაკანი და შურთხთ სტვენა, ისე ჩვეულებრივი, საღამოს აღარ მოისმოდა.

„ერთბაშად იჭექა ცამ, მოისმა გრგვალი და ამას მოჰყვა წვრილი, მაგრამ ჩქარი, ჩორხოშელა წვიმასთან ერთად ნარევი. მთა მინდორი, ღელეები ერთბაშად თითქოს მღინარებად გარდაიქცა და გადუქცეული წარმოუდგენელის ძალით გაქანდა თავქვე.

**გრიგოლა თითქოს გაექვავებინა ბუნების ძალას, შიგ გამოქვაბულს კარებში გაჩერებულიყო.**

„ნუნუ მწარედ დაღონებული, მობუზული იჯდა კერის პირას და ჰფიქრობდა თავის მწარე დღეებზედ; იმისი პირის სახე ემსგავსებოდა წმინდა სანთელს და ყუყუნა, მომღიმარი თვალები თითქოს სადღაც ჯურღმულში ჩასცვიოდა.

„პირველმა დაქუხებამ თრნივ იქ მუთფი შეაკრთო. ნუნუმ გადიწერა პირჯვარი და გრიგოლა კი შინ შევიდა.

„ქოხში საგმაოდ ჩამობნელდა და მხოლოდ ჩქარ ჩქარი ელვა ანათებდა იქაურობას. გრიგოლა მივიდა, ჩამოჯდა „მარტო შუამზედ" და ჩაფიქრდა. ნუნუ მთლად ცახცახებდა, **მობურვილი დღის მიზეზით,** თუ **სხვა რომელიმე გრძნობათა მღელვარების გამო,** იმას გული უდუღდა და ცრემლები მოსდიოდა თვალებში. კარგა ხანს ასე ჩუმად ისხდნენ."[1]

როგორც ნისლის პატარა ნაჭრები ბოლოს შავ ღრუბლებად იქცა, პეჭა-ქუხილი ასტყდა და ცა და დედამიწა შესძრა, ისე შემოიპარა გრიგოლა, ეს გაპირუტყვებული კაცი და ჩვეულებისა და რჯულის გამტეხი, გარემოების წყალობით გაზვიადებული და გამედიდურებული ადამიანი ეცა რძალს და ნამუსის ახდა მოინდომა. გრიგოლას გაშმაგებით ჩაევლო ქალისთვის, თავის რძლისთვის ხელი, „მეორე ხელი მოჰხვია წელზედ, მიიკრა ახლო ცა აცახცახებულის, ნერწყვ-მოსულის ტუჩებით საკოცნელად მიიზიდა, მაგრამ **იმან მიახლოვება ვერ მოასწრო, როდესაც ცამ ძალზედ იჭექა** და უსიამოვნო გოგირდის სუნი დატრიალდა; ეტყობოდა ახლო-მახლოს სადმე მეხი უნდა ჩამოვარდნილიყო". ასეთს მონაწილეობას იღებს ბუნება კაცის, მოხევის ცხოვრებაში. მაგრამ კაცი ხომ მეფეა ბუნებისა და მეფურად იქცევა, იგი გვერდს უქცევს ბუნების გაფრთხილებასაც, საზოგადოების კანონსაც, ზნეობრივ სიფაქიზესაც და, პირუტყვულის ჟინით გატაცებული, ბოროტ-მოქმედებას სჩადის—ნამუსსა ჰხდის გაუბედურებულს, ძალით მოტაცებულს რძალს.

„გ ვიხსენოთ საოცარი სურათი „მოძღვრიდან" მაყვალას ონიკასგან მოკვლის ღამე, რა ტრაგიზმით აღსავსეა ბუნების მონაწილეობა ამ მოვლენაში, რა ტირილითა და მოთქმით არის აღსავსე ეს ღამე, მოწმე საშინელის უბედურებისა:

მაყვალა მოძღვართან არის. ძაღლს აპირებს. ის იყო პირჯვარი უნდა გადაეწერა, მაგრამ ხელი გაშეშებული შერჩა.

„მოესმა, თითქოს კარს ვიღაცა მოაწვა, მაგრამ მაშინვე ტარის წივილი გაისმა და დაწყნარებათ წარმოსთქვა:

— „ტიალი, რა დაშვა?! ღმერთმა ჰქმნას, რომ მშვიდობიანად გაიაროს.

„გადიწერა პირჯვარი და თვალები მოხუჭა. მაგრამ საკვირველი ეს იყო, რომ **ძილი ერთბაშად გაუკრთა და ათასმა საგონებელმა წაიღო.**

„ქალი ვერ მიმხვდარიყო, რა მიზეზით არ ეძინებოდა, რადგანაც ამ წუთის წინეთ კინაღამ ზეზურ წაიქცა, იქამდის დაღალვასა და მოსვენების საჭიროებასა ჰგრძნობდა.

„ეს არ იყო შიში მარტოობისაგან აღძრული, რადგანაც მაყვალა მარტოობაში ერთხელ არ ყოფილიყო და არა ერთხელ პირისპირ შეჰხვედროდა განსაცდელს.

„ეს არ იყო არც მეტის-მეტად დასუსტებულის ადამიანის ძილის გაკრთობა, რომელიც ძარღვებს უდუნებს და სასარგებლო განსვენების საშუალებას უსპობს, მაშ რა უნდა ყოფილიყო?

„ამას თითონ მაყვალაც ვერ გებულობდა. ის გრძნობდა მხოლოდ, რომ ძილი უნდოდა და ვერ დაეძინა; **დამშვიდება უნდოდა და გული რაღაცა გამოურკვეველს ცახცახში იყო. მოელოდდა რაღაცას, მაგრამ რას?** აი, ის ელოდა რაღაცას, რომელიც გულსა ღევდა, უსიამოვნებას აღუძრავდა და, გამოურკვევლობაში ჩავარდნილს, **რაღაცა უძლურება თითქოს ყურთან ბოროტად დასჩხაოდა...**

დაწყნარდა ყოველისფერი და გაჩუმდა, მხოლოდ ქარი არ ისვენებდა და მაღლად ამართულს ასის წლის ხეებს თავს ახრევენებდა. ხან და ხან მთებს შეწყვეტებული წამოტრიალდებოდა და გამძვინვარებული ამოქვაბულს კარს მიაწყდებოდა. ქუხილი აღარ ისმოდა, მაგრამ მოუშუშებნილს ცაზედ ჯერ კიდევ ელავდა და ანათებდა წარსულის ავდრით მოოხრებულს მიდამოს. თვით პირუტყვებიც კი თავ-თავიანთ სოროში მიმალულიყვნენ და გზაზედ გამოხედვა ჯერ ვერ გაებედნათ.

ერთბაშად იელვა კიდევ და ქოხის კარი გაშუქდა. გამოჩნდა მოჩვენებად ცოცხალი კაცი, რომელიც ნაბადში გახვეულიყო და იქავ კედელს მიჰკუნჭოდა. მობრუნდა, მოტრიალდა ქარიშხალი და ისევ ქოხის კარს მიუვარდა. მის ძალას, თუ სხვას რომელსამე შემთხვევას, ვეღარ გაუძლო კარებმა, გაიღო და აქამდის შეუმჩნეველი, ნაბდიანი განჰქრა, მიწა გაუსკდა და თან ჩაიტანა, თუ ფრთოვანს მაგრეთ გადაქცეული ქარს გაჰყვა—პატარა კაცი ვერ იტყოდა.

**ჩაბნელდა და ჩაიხურა. ბუნებამ ისევ გამძვინვარებით ღრიალი დაიწყო, ცას ცრემლი ნაკადულად გადმოსცვივდა და ქარმა მგლოვიარის გოდება და ზუზუნი დაიწყო...** მცირე ხანი და მას შეუერთდა კივილი დონე-მიხდილის ქალისა... ხმა ქარმა გაიტაცა ღრიალით და გინ იცის, საით გადაჰქანდა. **კიდევ ხმა კივილისა და ზედ მოჰყვა დამაყრუებელი დაჭექება, იფეთქა ელვამ და ქვეყანა უფსკრულში გაეხვია.** და თითქო ბუნების კანონების ფატალიზმი, მათი გარდუვალი ძალი თხოულობდა ამ თავზარ დამცემის მოვლენის აღსრულებას.

მეორე დღეს დილით, ყველაფერი დამშვიდებული იყო და **შეუბრალებელს, გამძვინვარებულს** ბუნებას გული მოებრუნებინა. მოწმენდილი ცა გაკრიალებულიყო და მზის სხივი მთის წვერებს ესთამაშებოდა. მართალია, მოოხრებული და განადგურებული დედა-მიწა მწუხრად გამოიყურებოდა, მაგრამ მზე მხიარულად ამოდიოდა და, თითქოს ნუგეშის მისაცემად, დასძახოდა:

— „ნუ სწუხარ! კიდევ შევიძლებ შენს გათბობას, შენს გამშვენიერებას. მთის **სურნელოვან ყვავილებით, მოსრესილთ წარსულის** შეუწყალებლობით, მისწვდომოდა ეს ხმა და იმედით გაბრწყინვებულთ ნაზი თავები წამოეყოთ, გახარებული სახე გამოეჩინათ... სევდა მომცველის ღამის შემდეგ გაგაშვებულს დღეს ფასი უორკეცდებოდა. მართალია ბუნება წუხელ მკაცრად მოჰქცეოდა ყველას, შეუბრალებლად დაჩაგრა ყველაფერი, მაგრამ წყრომა დღეს

*) იხ. „დროება", N 160.

1) იხ. გვ. 248, 249.

2) „მოძღვარი", გვ. 171—174. ხაზი ყველგან ჩვენია.

რთალია, რასაც ამ დღეებში შემატყობინებენ ჩემი კაცები, ჩემი საქმე წასულია. ასეა ჩემო ძვირფასო, დრო იცვლება, ძირს ეცემა ისე, რომ ვეღარ ასწრობ ადგომას. მთავრობის სამსახურს, როგორც შენც იცი, ჩემი სიცოცხლე, მშვიდობიანობა და ჯან-მრთელობა შევალიე—გმუშაობ სასწავლებლიდანვე, და ამის შემდეგ ვერავითარი ძალა ვერ დამაყენებს ამ სახიფათო ადგილზე. თავს დავანებებ სამსახურს და პენსიით იქ დავსახლდები ამასთან შავი დღისთვის ცოტა რამ მაქვს გადადებული. ვიყიდი ბერლინის ახლო პატარა ადგილს და იქ დავსახლდები. მომეწყინა წანწალი. აბა მითხარი რა სასიამოვნო იყო, რომ წარსულ წელს არგენტინაში ხუთი თვე ვიხეტიალე ადმირალ ჩუხნინის მკვლელის იაკობ სტეფანესიძე აკიმოვის დასაჭერად. ეხლა ეს აკიმოვი, ანუ როგორც რევოლიუციონერები ეძახიან ნიკოლოზ ანდრეევიჩი, შენს სადგომებლობში, კენისბერგის ახლო, მეპა დედ არის, როცა დაწვრილებით გავიგებ, დეპეშით გაცნობებ. არ დაივიწყო ჩემი თხოვნა, რაც გაიგო შემატყობინე. სანამ ჩვენი მეგობრის (აზევის) საქმე არ მიწყნარდება, მანამდის შიაკრთმე დროებით დავეთხოვე. ჩემს მაგიერობას პეტერბურგსკი სწევს. აზევა ჩემთან იყო და ცოტა არ იყოს სულით დაცემულს, ჭკვანდა მთხოვა ყოველ შემთხვევისთვის წიგნები და ფული მომიმზადეო. აზევი მარწმუნებს, რომ ამ ჭკუაზედ შეშლილ რევოლიუციონერ ბურცევს და ბაკაის დავამარცხებთ, მე უფრო მეტ დამიჯერებენ რევოლიუციონები, სანამ ბურცევს და კომპანიას. მაგრამ იბედურება ის არის, რომ ლონდონში ლოპუხინი მოდის. ბურცევს მე კარგად ვიცნობ, ის რკინისებრ კაცია, რაკი აიხირებს უკან აღარ დაიხევს და შესაძლებელია, რომ პირდა-პირ ლოპუხინთან წავიდეს. იმედი ნუ გექნებათ, რომ ლოპუხინმა არ გაქოქვათო, ასე შემატყობინეს პეტერბურგიდან. და აბა რაღა იმედი უნდა ვიქონიოთ გადაგკოცნი შენი არკადი“.

## ახალი ამბავი

✦ **სავალდებულო დადგენილებანი ქუთაისის გუბერნიისთვის.** ქალაქ ტფილისსა და ტფილისის მაზრის გარდა, ყველგან კავკასიაში სამხედრო წესების გაუქმებისათანავე ტფ. გუბერნიის მაზრებისათვის გამოსცეს სავალდებულო დადგენილებანი იარაღის ტარებისა, ყრილობების, კრებების და სხვათა აკრძალვის შესახებ. მეორე ასეთი წესები გამოსცეს განჯის გუბერნიისთვის. გუშინდელ „კავკაზ“-ში ამ გვარივე წესები გამოცემულია ქუთაისის გუბერნიისა და თერგის ოლქისთვის. დადგენილებანი შეეხება კრებებსა და ყრილობებს, იარაღის ტარებასა და გაყიდვას, უბილეთოებს და ფარნებს.

✦ **კრების აკრძალვა.** როგორც ვიცით, ქუთაისის ქალაქის თავის ინიციატორობით, ტფ. ქალაქის თავმა შუამდგომლობა აღძრია ერობაზე მოსალაპარაკებლად კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა კრების გამართვის შესახებ. ნამესტნიკმა შუამდგომლობა არ შეიწყნარა და ნება არ დართო კრების გამართვისა.

✦ **შეპყრობა ბაქოში.** როგორც ვწერდით, ბაქოში სამართალში მისცეს ისინი, ვინც ნავთის მწარმოებლის რილსკის გატაცების დროს შეიპყრეს. ეხლა კიდევ, როგორც „ბაკუ“ გადმოგვცემს, ასეთი ამბავი მომხდარა: ვიღაცეებს ძმ. რილსკების კანტორისთვის იმ ჯგუფის სახელით, ვისაც რილსკი გაუტაცნია ტელეფონით უბრძანებიათ—ეხლავე ჯგუფის სასარგებლოდ გადასდეთ 100,000 მანეთი; ამ ფულით ჯგუფმა, სხვათა შორის, უნდა განთავისუფლოს რილსკის გატაცების გამო დაპატიმრებულნიო, თანაც დაემუქრნენ, თუ ამას არ იზამთ, ყველას ამოვწყვეტთ და ქონებასაც გადავწვავთო. კანტორამ მაშინვე პოლიციისთვის უცნობებია. მექარა ტელეფონით გაუმეორებიათ „ერმიტაჟის“ და „მადრიდის“ სასტუმროებიდან, როდესაც „ერმიტაჟ“-ში მისულან, ვერავინ უნახავთ, „მადრიდ“-ში-კი შეუპყრიათ, როგორც დამნაშავენი, ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებნი ნიკოლოზ კორკაშვილი, დავით ჯაფარიძე, ირაკლი ნადირაშვილი, და მიხეილ თურქია, მეხუთე, ვიღაც ერევნელი, გაქცეულა, დავით ჯაფარიძე ახალგაზდა კაცი ყოფილა, სამთო ინჟინერი. ყველა ესენი დაუპატიმრებიათ და გამოძიებას შესდგომიან.

✦ **სასამართლოში.** მკითხველებს ეხსომებათ, 1 სექტემბერს ბორჯომსა და ახალ-ციხის შუა ვილაცეები თავს დაეცნენ ფოსტას, მოჰკლეს მაშინ ყაზახები დანიელ კაზანოვი, გრიგოლ დუშევი და ხარლამპი გრინია. დასჭრეს მიასოჩიევი. ამ საქმის გამო სხვა და სხვა დროს შეიპყრეს და სამართალში მისცეს ნიკოლოზ სამსონაშვილი, ვასილ ხელსუფალი, ივ.-ნე ლონლაძე და ერმინე მუმლაძე. ერთი ბრალდებული, პავლე ლამაძე, ვერ შეიპყრეს ამ საქმის გარჩევა კავკ. სამხედრო-ოლქის სასამართლოში დაიწყო 20 ივლისს. ბრალდებულთ იცავენ ნაფიცი ვექილები ი. მაჭავარიანი და ნ. აბაზაძე.

✦ **მონსში სწავლა-დამთავრებულნი.** წელს მონსში (ბელგია) უმაღლესი სწავლა დაამთავრეს სამმა ქართველმა ივანე მეძმარიშვილმა ანდრია მესხიშ და ალექსანდრე გრიგორაშვილმა პირველმა ორმა პოლიტეხნიკუმის სამთო-მადნის ინჟინრის დიპლომით, მხოლო უკანასკნელმა უმაღლეს საკომერციო ინსტიტუტი ინჟინერ კომერსანტის დიპლომით.

✦ **პასუხის-გებისაგან განთავისუფლება.** როგორც ვწერდით, სხვებთან ერთად სამართალში მიცემული იყო ტფ. მაძებარ პოლიციის უფროსის თანაშემწედ ნამყოფი ბაბახანოვი. ბაბახანოვს და მის ამხანაგებს ჰბრალდებოდათ ბოროტ-მოქმედების ჩადენა სამსახურში. ეხლა როგორც „ტიფ. ლისტ.“ გადმოგვცემს, ბაბახანოვი გაუნთავისუფლებიათ პასუხის გებისაგან, რადგან ბრალდების დამამტკიცებელი ვერაფერი აღმოუჩენიათო.

✦ **ფოსტაზე თავ-დასხმა.** 19 ივლისს უცნობნი თავს დასცემიან ევლახიდან ხალადანში მიმავალ ფოსტას. უსროლიათ ყუმბარები. ყუმბარით მოუკლავთ ერთი სტრაჟნიკი, მეორე დაუჭრიათ. მომკვდარა ცხენიც. ფოსტა გადარჩენილა.

✦ **ელექტრონის გზა კავკასიონის უღელ-ტეხილზე.** უკვე ვწერდით, რომ განზრახულია ელექტრონის გზა გაიყვანონ ტფილისიდან კავკავამდე. ნამესტნიკს, „რ. უ.“-ს სიტყვით მოუწონებია ეს პროექტი. გზას მოუნდება სულ 20 მილიონი მანეთი.

✦ **თავ. ვ. ჩერქეზიშვილი.** ქალაქის თავის მოადგილეს ხატისოვს დეპეშა მიუღია პარიზიდან ექიმ ლორის-მელიქოვისაგან, რომ ოპერაციის შემდეგ თავ. ჩერქეზიშვილი ცოტად გამოკეთდაო.

✦ **ტიმოშკინი.** პეტერბურგიდან ტფილისში ჩამოსულა ამიერ-კავკასიელ რუსების დეპუტატი ფ. ტიმოშკინი.

✦ **გაცარცვა.** საჯავახოსა და ჩ.-ხატაურს შუა, გზაზე, ვიღაც შვიდი შეიარაღებული კაცი დასცემია მიმავალ გლეხს. წაურთმევიათ გლეხებისთვის რამდენიმე ასი მანეთი (ზ.)

✦ **თავ. ვ. ჩერქეზიშვილი.** ა. ი. ხატისოვმა გუშინ დილით შემდეგი დეპეშა მიიღო პარიზიდან: „თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი კარგად არის, თირკმელები სრულიად გაუმთელდა; აგარაკ კონტრექ-სენილში წასვლა არ არის საჭირო, ექიმობა შეიძლება გაგრძელდეს ტფილისში. წამოვა ტფილისს ათი დღის შემდეგ. პროფესორი ტიუფე, ექიმი ლორის-მელიქოვი, ჩერქეზიშვილი მარიამი“.

✦ **უპასპორტოები.** 20 ივლისს ქალაქის მეორე ნაწილში გაჩხრეკის დროს დაპატიმრეს 20 უპასპორტო კაცი.

✦ **ილიას საღამო.** ბორჯომში 30 ივლისს გაიმართება სალიტერატურო საღამო ილია ჭავჭავაძის ფონდის გასაძლიერებლად. ინიციატორნი ცდილობენ, საღამო შინაარსიანი და კარგი იყოს.

✦ **მეეზოვეთა ურჩობა.** უკვე აღვნიშნეთ, რომ ქალაქის გამგეობის დადგენილებით მეეზოვეებმა უსათუოდ უნდა მორწყონ ხოლმე ქუჩები და ეზოები და შემდეგ დაჰგავონ. ამ დადგენილებას მეეზოვენი არ ასრულებენ და ძველებურად დილ-დილობით მტვრის კორიანტელს აყენებენ ხოლმე.

✦ **სტიპენდიები.** ამ დღეებში ტფ. ქალაქის გამგეობამ დასამტკიცებლად წარუდგინა გუბერნატორს ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილება შამხოროვის სტიპენდიების შესახებ.

✦ **სექციის სხდომა.** დღეს, 22 ივლისს, საღამოს 8 საათისთვის დანიშნულია სხდომა ერობის შესახებ მესამე სექციისა, რომელმაც უნდა განიხილოს საკითხი ცენზის შესახებ.

✦ **დაჯარიმება.** ტფ. გენერალ-გუბერნატორმა სხვა და სხვა სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დააჯარიმა: სამ-სამი მანეთით ვილგ. პირი, პეტრე კოსოვსკი, სერგო პეტრიაკოვეცი, მიხეილ პიოვაროვი, კონსტანტინე კახეთელიძე და დავით ხერხეულიძე. თითო მანეთით—დიანოზ გიუნაშვილი, ალექსი გალჩენკო და ივანე მიშჩენკო; 9 მანეთით—გაბრიელ ბადუროვი.

✦ ტფ. გენერალ-გუბერნატორის დადგენილებით სერგო ავაქოვს იარაღის შესახებ სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის მიესაჯა 3 თვით დაპატიმრება ან 500 მან. დაჯარიმება.

✦ 10 ივლისს კულუმბეგოვმა ვლადიმირის ქუჩაზე მცხოვრებმა, პოლიციას გამოუცხადა, რომ ადგილის მიჯნის გამო ჩხუბი მომივიდა ნიკოლოზ წამალაშვილთან. ჩხუბის დროს წამაშვილმა 150 მანეთად ღირებული ქამარი შემომხსნა და უკან აღარ დამიბრუნაო. წამალაშვილი დააპატიმრეს.

## ორიოდე სიტყვა ქართულ წერა-კითხვის შესახებ

ყველას კარგად მოეხსენება, რომ სწავლა-აღზრდის საქმე ჩვენს ორივე ტიპის პირველ-დაწყებით სკოლაში (სამინისტრო და სამრევლო) მეტად უხერხოდ და არა ნორმალურად არის დაყენებული. ყველამ ვიცით ისიც, რომ დღემდე, ქართული ენა და წერაც არ ისწავლება რიგიანად. ვერ გადიან იმ „დედა-ენის“ კურსსაც კი, რაც უნდა ისწავლებოდეს ჩვენს სკოლებში. ბავშს, რომელსაც უსწავლია ხსენებულ სკოლებში, ხშირად უბრალო ბარათის დაწერა და წაკითხვა არ შეუძლიან, რაიცა დიდ უკმაყოფილებას ჰბადებდა და ჰბადებს მშობლებს შორის და საზოგადოდ, ხალხში.

თუ, ერთის მხრივ, ამ გვარი ანორმალობა ჩვენს სკოლებში შეჰქმნა მთავრობის პოლიტიკამ, მეორეს მხრივ ქართულის წერა-კითხვის (საზოგადოდ ქართულ ენის) უნაყოფო სწავლებას ხელი შეუწყეს ზოგიერთმა მასწავლებლებმაც, რომელთაც ამ საგნის სწავლებაში, თავიანთ უცოდინარობით დიდი ცოდვა მიუძღვით.

დღევანდელი პირველ-დაწყებითი სკოლა სამი წლის კურსს შეიცავს. სამი წლის კურსი, რა თქმა უნდა, საკმაო არ არის ქართულ ენისთვის, მაგრამ ამას თავი გავანებოთ. გოგებაშვილის მიერ ამ სკოლებისთვის გამოცემული სახელმძღვანელოები სამი წლის კურს შეიცავენ. („ბუნების კარს“ მთლად არ ვურთავ). ხსენებულ სახელმძღვანელოების მასალას რომ მართლა სამის წლის განმავლობაში საფუძვლიანად გადიოდნენ, მოწაფენი მეტ ცოდნას შეიძენდნენ და სწავლის გათავების შემდეგაც გამოიყენებდნენ. სამწუხაროდ, ბ-ნ გოგებაშვილის ქართულ ენის კურს მთლად ვერ გადიან დღევანდელ სკოლებში. „დედა-ენის“ პირველი და მეორე ნაწილი მასწავლებელმა უნდა გაიაროს ორ წელიწადს, როგორც თვით გოგებაშვილი ბძანებს. ბევრი მასწავლებელი-კი პირველ და მეორე ნაწილს სამი წლის კურსადა ჰხდის. პირველ, ნაწილის, ე. ი. ან-ბანის შესწავლას მასწავლებელი პირველ წლის პირველ ნახევარს (ოთხ თვეს) ვანაჩრობით ათავებს (ზოგნი იანვარშიაც ასწავლიან ან-ბანს) ნამდვილად-კი, თუ-კი მასწავლებელს ცოდნა და გამოცდილება შესწევს, ან-ბანი შეუძლიან გაიაროს 2—2½ ნახა თვეს. იანვარს შემდეგ ზემოხსენებული მასწავლებელნი ასწავლიან „დედა-ენის“ მეორე ნაწილს. რადგან მოწაფეებს სწავლის მექანიზმი რიგიანად არა აქვთ შეთვისებული და უხეიროდ კითხულობენ, მასწავლებელი გადის მხოლოდ მეორე ნაწილის 45 გვერდამდის მოთავსებულ მასალას. ეს ცოტა მასალაც არა აქვთ მოწაფეებს რიგიანად შეთვისებული. მასწავლებელს რომ მეტი ცოდნა და გამოცდილება გამოეჩინა თავის საქმეში, შეეძლო პირველ წელიწადს „დედა-ენის“ მეორე ნაწილის 78—80 გვერდამდის გა[illegible] პირველ წელიწადს ან-ბანსა და „დედა-ენის“ [illegible] 45 გვერდამდის, როგორც ვიციოცა, მეორე. წელიწადს „დედა-ენის“ მეორე ნაწილის გავლას ველარ მოასწრებს და დარჩება მესამე წლისთვის. ამ რიგად. მესამე წელიწადს მასწავლებელს შეუძლიან გაიაროს „ბუნების კარიდან“ მხოლოდ 10-15 გვერდამდის (ერთ კლასიან სკოლებში იშვიათად ასწავლიან „ბუნების კარს“. ეს წიგნი ხმარებაშია მხოლოდ ორ კლასიან სკოლებში).

ეს არის და ეს. ამით თავდება ქართული ენის კურსი პირველ-დაწყებით სკოლებში. შეიძლება ზოგმა სთქვას, რა ჰყრია ბევრ მასალის გავლაში, ცოტა გაიაროს მასწავლებელმა და საფუძვლიანადაო. მართალია, მაგრამ ძალიან ბევრჯელ არა მართლდება ხოლმე ეს. უმეტეს ნაწილად მასალასაც ცოტას გადიან და ამ ცოტასაც ვერ ითვისებენ ხეირიანად. ბავშვი ათავებს სოფლის სკოლას და „დედაენას“ ისევ ჩათვლით კითხულობს.

საჭიროა ყურადღება მიექცეს ზემოაღნიშნულ გარემოებას, რომ ქართული ენის სწავლება მცირედ მაინც მოეწყობა სკოლებში. აღნიშნულ სახელმძღვანელოების მასალას უნდა გადიოდნენ სრულის ცოდნით. კლასში სხვა საბავშვო წიგნებსაც უნდა აკითხებდნენ. ისე უნდა იყვნენ დახელოვნებულნი კითხვაში, რომ სწავლის გათავების შემდეგ შეეძლოთ თავიანთ ცოდნის შესაფერ წიგნების წაკითხვა გაგება. **კოტე.**

## ესპანია და მაროკო

ხმელთა შუა ზღვის სამხრეთ ნაპირზე, აფრიკაში, ესპანიელები პირველად დამკვიდრდნენ 400 წლის წინად. გრანადის დაპყრობისა და მავრების ესპანიიდან განდევნის შემდეგ, ესპანიის ჯარი დაედევნა მავრებს, აფრიკაში გადავიდა და 1496 წელს ჰერცოგმა მედინა სიდონმა, დაიპყრა მელილა, ხოლო 1580 წელს ესპანიის ხელში გადავიდა ცეუტა, რომელიც წინად პორტუგალიას ეკუთვნოდა. ამ ორის ნავთ-სადგურის გარდა, ესპანიელებმა რამდენიმე კუნძულიც დაიპყრეს მაროკოს ჩრდილოეთ ნაპირს ახლო.

ეს ადგილები მაროკოს საზღვარზე ესპანიამ დაიპყრა ორი მიზნით. ესპანიის მთავრობამ ამ ადგილებში ააშენა პატარ-პატარა ციხეები ზღვის ყაჩაღებთან საბრძოლველად, რადგან ეს ყაჩაღები მოსვენებას არავის აძლევდნენ გიბრალტარის სრუტეში. შემდეგ ეს ციხეები, რომლებიც ცნობილია თავის ცუდი ჰავით, კატორღად გადააქციეს და იქ გზავნა დაუწყეს უბრალო და პოლიტიკურ დამნაშავეებს.

ამ პაწაწკინტელა კოლონიებს არავითარი ეკონომიური მნიშვნელობა არა აქვთ ესპანიისთვის: იქ არც ვაჭრობაა განვითარებული და არც მი-

---

მოწყალებად გადაექცევა, მობუზღულ დაღვრემილი მიწა კვლავ პატარძლად მოირთო“.

მართალი გითხრათ, ყველა სტრიქონი ყაზბეგის ბუნების აღწერილობისა შედევრია, რომლითაც თავს მოიწონებდა, რომელიც გნებავთ, ლიტერატურა. აღარ იცი, რითი აღიტაცო—სურათების სიმშვენიერით, პოეტის ჯადოსნურ ხერხიანობით, თუ იმ ღრმა ბუნების ფილოსოფიით, რომლითაც ეს აღწერილობებია სავსე. აიღეთ, თუ გნებავთ, ეს უკანასკნელი ნაწყვეტი.

ონიკეს მაყვალა უნდა მოეკლა. ეს არის შედეგი გონებათა და სურვათა ფატალურ ძალისა, მისი ლოგიკური ულოგიკობა, მისი ბუნებრივი უნორმალობა, მისი უკანონო კანონიერება, მისი ზნეობრივი უზნეობა, მისი აუცილებელი შედეგი, რომლის ძალის აწონა შეიძლება მარტო, ამ ძალის მიმართულების ცოდნა და შეგნება კი მარტო შემოქმედს შეუძლიან, სულ ერთია ვინც უნდა იყოს ეს შემომქმედი, მიწიერი ღვთაება—მგოსანი, პოეტი, თუ ზეციერი ძალა გამოუცნობელი. ბუნება ამ საშინელს მოვლენას ადამიანთა ფსიქიკისას პასუხს გასცემს „გამძვინვარებულის ღრიალით, გლოვიარის გოდებითა და ზუზუნით, ელვითა და ქქით“. აღსრულდა მოვლენა, ისევ აუცილებელი მსოფლიოს მსვლელობაში, როგორც ონიკსა და მაყვალას სიყვარული, როგორც ელვა და ქუხა, ქარის ზუზუნი და გამძვინვარებული ღრიალი. ეხლა ბუნება დაწყნარებულია, ბუნებას „გული მოუბრუნებია“, ბუნებაში რეაქცია მომხდარა. გუშინდელი დაჭრილები დღეს უნდა გამოიჯხლოს, დახოცილების პაიკების განმეორების მაგიერი დასვას იმ ჭანდრაკის ფიცარზე, რომელსაც ცხოვრება ეწოდება, მოოხრებულსა და განადგურებულს დედამიწას ისევ მომხიბვლელი სახე უნდა დაუბრუნოს და მზე, ეს სიცოცხლის დაუშრეტელი წყარო, სასოებითა და იმედით განაბრწყინვალებს სულიერსა და უსულოს.

აქ ჩვენის თვალის წინ იშლება მთელი ცხოვრება მსოფლიოსი, მისის კარგითა და ავით, მისის გლოვა-ტირილით, ნუგეშ-იმედით, ცრემლებითა და ვაებით, გლოვა-ზუზუნით სიცოცხლის შეზარვებითა და სიცოცხლის აღტაცებით.

ჩვენ რომ გავჰყვეთ ყაზბეგის სურათების გადმოწერას მთელი ტომი რნდა გადმოვსწეროთ. მგონი საკმარისია თუ აქ შევჩერდებით, ყველასათვის ნათელია ამ ნაწყვეტებიდანაც, წარმოთქმული სიმშვენიერე და მომხიბლავი სიდიადე ამ სურათებისა. მაგრამ გვერდს ვერ გაუვლით ორიოდე ნაწყვეტს, რომელიც დაგვანახვებს, რა სოლაჯარის შემოქმედებითა აქვს ყაზბეგს ნაჩვენები ის იდუმალი, მაგრამ ძლიერი, სოლაჯარი და დიდი კავშირი, რომელიც არსებობს ბუნების ყოველ ნაწილს შორის, სულ ერთია კაცია იგი თუ უბრალო ბალახი. მისი გმირები ხომ ყველანი პოეტები არიან, უცნაურის ნაზ გრძნობის ხალხი, რომელთაც მცენარეთა ჩურჩულიც კი ესმით. როცა მისი გმირი წყნარად, დაფიქრებული მიდის, „გზიდან ფრთხილად იშორებს კვლავაც გადმოზნექილს გაფოთლილს ტოტებს. **სცდილობს, რომ შტოების გაწევის დროს უცაბედო მოძრაობითაც არის, გაფურჩქნილს ფოთლებს არა ავნოს-რა და მით საედემო მშვენების ჰარმონია არ დაარღვიოს.** (ხაზი ჩვენია) აი რა განწყობილება, რა თვისება არსებობს მის მთიელთა, მოხევეთა და ბუნების შორის. თვით ბუნებაც მდიდრად აჯილდოებს თავის მეგობრებს **„თითქო მწუხარების წინაშე თვით ბუნებასაც მოეხარა თავი და ყოველი ქმნილება გაჩუმებულიყო, რომ მწვავი ხმა მტკიცედ შთაებეჭდათ, ეგრძნოთ მისი ძალა და ყრუდ გამეორების შემდეგ ცრემლად დაფრქვეულიყვნენ.** (თითქოს) თვით ცაც კი შეჯერებულიყო უბედურის მწუხარებით და მწარედ შეშმუხვნილი, ადგილ-ადგილ ჩამავ-კუშტრებული ტყვიის ფრად გადაქცეულიყო. **დაიწყო წყნარი და ჩუმი ნამვა, რომელიც უმანკოლის ქალის ჩაწყვდიადებულს თვალთაგან გადმონადენს ცრემლს მიემსგავსებოდა.** [3])

„თითქო“ ჩვენ ფჩხილებში ჩავსვით. მე მგონია, ყაზბეგმა აქ ჩვენს შაბლონს დაუთმო, თორემ „თითქოს“ ადგილი არ უნდა ჰქონდეს იმ მწერლის აზრში, რომელმაც ასეთის მხურვალის შემოქმედებით დაგვისურათა ბუნების შვილთა შორის გადაბმული უწყვეტელი ჯაჭვი. აბა ერთი კიდევ „ელისოდან“ ამოვიღოთ ორიოდე სტრიქონი. ეს ყაზბეგის საუკეთესო წარმოებად მიგვაჩნია ჩვენ, ვინაიდან ასეთის ძლიერებით ხალხის, მთელის ჯგუფის, თუ გინდათ ბრძნობის ფსიხოლოგია მგონი იშვიათად დაუხატავს მწერალს. საერთო კვნესა და გოდება გადასასახლებლად გამზადებულ ჩეჩენთა ისეთის სიმწვავით არის გადმოცემული, რომ თქვენ კითხვის დროს იქცევით იმათის გრძნობის მონაწილედ, მომქმედ პირად და წუთიერს თ ვის დავიწყებაში ვართ—ესდენ ძლიერია გრძნეულება დიდის მგოსნისა. ჰიანურის წყნარი ხმა და წყნარი ზუზუნი.

„რომელიც გულის საძირკვლიდან სწყდებოდა, რომელიც ენთებოდა, სდუღდა, სწვავდა მთქმელს და გამგონს! **იფანტებოდა შორს, შორს მინდორზედ, სადაც მსუბუქს ნიავს მიჰქონდა, ყოველ ხესთან, ყოველ ბუჩქთან, ყოველ ბალახთან და რა მიეკარებოდა, თითქოს იქამდის ძლიერად აგრძნობინებ და თავის ძალას, რომ მთლად აათრთოლებდა.** [4])

მე რამდენჯერმე მოვიხსენიე ყაზბეგი მგოსნად, პოეტად—იმიტომ, რომ მართლა ნამდვილი და ჭეშმარიტი პოეტია იგი ამ სურათებში—როგორ აძლიერებს ხალხის სევდის გრძნობას, როცა ბალახსა და ნიავსაც კი მის ღრმა მონაწილედ და თანამგრძნობლად ჰხდის, თუ იმით, რომ ამ კვნესისა და ამ ზუზუნის სურათს ასე ხორციელად, ასეთის ძლიერებით გვაგრძნობინებს, რომ ფიზიკურ კანონსაც კი არ დაივიწყებს და ბუჩქებსა და ბალახებს აათრთოლებინებს ჰიანურის ხმის ძალის.

უკვე ვიცით, რომ მეორე დიდი პოეტი, მთის ბუნების მგოსანი ვაჟა და ძალაუნებურად გინდა შეადარო მის წინამორბედს, მის მოძღვარს, მის გულის მეგობარს ყაზბეგს. განსხვავება პირველის შეხედვით ცოტაა, მაგრამ ეს განსხვავება მაინც თვალსაჩინოა, თუ დაუკვირდებით, ვაჟა უფრო ობიექტიურად უყურებს ბუნებას, ვაჟასათვის ბუნება თავისთავად მშვენიერია, თუ კი იგი სიცოცხლის გამომხატველია. ვაჟა ბუნებას უფრო რეალურად უყურებს. ყაზბეგისათვის კი ბუნება არსებობს, როგორც ერთგვარი ნიადაგი, რომელზედაც გამოიხატება მისის გმირების ინდივიდუალობა, პირადობა. ყოველივე ბუნების სურათი მას უთუოდ გატარებული აქვს ბეჟიას, კობას და სხვა მეცხვარეთა ფსიხიკაში. ეს სურათი ისე გვეჩვენება ჩვენ, როგორც იგი ბეჟიასა და ონისეს, გინდ სხვას ეჩვენებოდა. ბუნება ერთგვარი დეკორაციაა, რომლის მართვა მოწყობა, რომლის სურათი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა როლსა თამაშობენ, ან რა განწყობილებაზე არიან ყაზბეგის მეცხვარენი.

მაშინ, როდესაც ვაჟას ბუნება მიაჩნია მსოფლიოს თავისებურ ელემენტად, რომელსაც თავისი ცხოვრება აქვს, თავის მოვლენათა იმდინარეობა და კავშირი და როგორც ასეთს, აქვს დამოკიდებულება ადამიანთანა, ყაზბეგის ბუნებას ნიადაგ მოსამსახურე როლი უკავია. იგი ერთგვარი იარაღია, ერთგვარი ქონება, ერთგვარი თავის გასართობი, ერთგვარი ნავთსაყუდელი, თუ გნებავთ, მისი გმირებისა, და სახესაც იმის და მიხედვით იცვლის, თუ როგორ გუნებაზე არიან ეს გმირები, ამიტომაც ვაჟას აღწერილობაში პლასტიკა სჭარბობს, ბუნების გარეგანი სახე, მისი მოვლენათა გარეგანი კავშირი, ხოლო ყაზბეგი კი ბუნების საიდუმლო კავშირს გვამცნევს ადამიანთან, მის ფარულ მეხანიზმს გვაჩვენებს, რომელიც მუდამ იმ უცნაურის მანქანის პატრონის ხელშია, რომელსაც ადამიანი ეწოდება, და რომელიც იმ ჰანგზე დამღერს, რარიგადაც მომართავს იგივე ადამიანი. ყაზბეგი ბუნებას ასულდგმულებს, ხორცს ასხამს და ჰქმნის მას მისის გმირების ერთ, მისის გმირების კვნესა-გოდების, ტანჯვა-ვაებისა და იშვიათად მათის მხიარულების ხმის გამომცემლად. ვაჟა სცდილობს ბუნება დაგვისურათოს ისე, როგორც თვით ბუნება სჩანს და არ მოახვიოს მას თავზე არც ერთის მისის გმირის წადილი და სურვილი. ამნაირად ვაჟა სცდილობს, როგორც ყოველი რეალისტი პოეტი, თავის „მე“-ს მისის ჟინით ლაგამი აუდვას და ცოტა მოშორებით დააყენოს. ყაზბეგი კი, პირიქით, სურათს იმ ელფერს აძლევს, იმ განწყობილების გამომხატველად გამოჰყავს, რა განწყობილებაზედაც მისი მეცხვარენი არიან, ე. ი. თვით მგოსანია, რადგან, როგორც ქვემოდ დავინახავთ, ყაზბეგის მეცხვარეებს ყაზბეგის სული უდგიათ, მისის გრძნობითა და გონებით არიან აღჭურვილნი, გარედან კი აცვიათ გაცრეცილი ტყაპუჭები მეცხვარისა, რომლის ნაფლეთებიდან ნათლადა სჩანს შეგნებული, ძლიერი პიროვნება არა ჩვეულებრივის ადამიანისა, უცნაურის გრძნობებით აღჭურვილისა და მომხიბვლელის გონებით შემკულისა.

კოტე აბაშიძე.

(შემდეგი იქნება)

3) „მეძებარი“, გვ. 228 და 229.

4) „ელისო“, გვ. 331.

წად-მოქმედება. ამ კოლონიებს სივრცე აქვთ სულ 66 ოთხ-კუთხი კილომეტრი და ჰყავთ 23,551 მცხოვრები, მათგან 2,422 დასასჯელად გამოგზავნილი.

ზემოდ ნახსენებ ციხეების გამო ესპანიელებს ყოველთვის დიდი დავა და ჩხუბი ჰქონდათ მაროკოსთან. მაროკოს ჩრდილოეთით ნაპირზე მდებარეობს მცირე ატლასის მთა, რომელსაც მაროკოელები ეძახიან ერ-რიფს. ჯერ კიდევ რომის იმპერიის დროიდან ამ მიუვალ ქვეყნის მცხოვრებნი ზღვაში ყაჩაღობას მისდევდნენ გიბრალტარის სრუტის ახლო, სადაც ყოველთვის მრავალი სავაჭრო ხომალდი და გემი მიდი-მოდის. ჯერ კიდევ იულიოს კეისარმა და მერე ესპანიისა-საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობებმა ბევრჯელ გაგზავნეს ექსპედიციები, ბევრნაირი ღონისძიება მიიღეს ამ ყაჩაღების ასალაგმად, მაგრამ ვერას გახდნენ მამაც რიფიოტებთან (ასე ეძახიან მათ ესპანელები) და ხელი ვერ აალებინეს ყაჩაღის ხელობაზე. 1856 წელს პრუსიის პრინცმა ადალბერტმა მოინდომა მაროკოს ნაპირზე გასეირნება; მას რიფიოტები დაეცნენ, 25 კაცი მოუკლეს და პრინცმა ძლივს-ძლივობით დაიხსნა თავი გააფთრებულ რიფიოტებს.

მაგრამ ბოლოს დროს, მას შემდეგ რაც საზღვაო ვაჭრობა ოკეანეებში გადავიდა, გიბრალტარის სრუტეში უფრო და უფრო ნაკლებმა ხომალდებმა დაიწყო სიარული; ამის გამო ზღვაში ყაჩაღობაც წინანდელ ხეირს აღარ იძლეოდა, და რიფიოტები იძულებულნი იყვნენ უფრო მშვიდობიან საქმეებს შესდგომოდნენ; მცირე ატლასის ტევრი ტყეები გასჩეხეს და მათ ადგილას მთის ფერდობებზე გააშენეს ზეთის ხილისა და ფორთოხალის ხეები და ვენახები, აქა-იქ დაუწყეს თესვა პურსა და ქერსაც. მაგრამ რიფიოტების უმთავრეს საქმეს ამ ჟამად შეადგენს მეთევზეობა და კონტრაბანდის ზიდვა მეზობელ ესპანიაში; კონტრაბანდისტის საშიშ ხელობაში რიფიოტებს ცალი არა ჰყავთ.

ცხადია, რომ ესპანიის ციხეების მეზობლობა ჭკუაში არ მოუვიდოდათ რიფიოტებს. ამიტომ ესენი იმ თავითვე ცდილობდნენ ესპანელების განდევნას. 50 წლის წინად რიფიოტები შეიჭრნენ ესპანიის ტერიტორიაში და დაიწყეს ესპანელების ძარცვა, მაგრამ ცეუტის და მელილას მეციხოვნე ჯარებმა უკუ აგდეს ისინი. ესპანიის მთავრობამ მოსთხოვა მაროკოს სულთანს დამნაშავეთა დასჯა, ზარალის გადახდა, და სამფლობელოს დათმობა. რადგან მაროკოს სულთანმა უარი შეუთვალა, ესპანიამ გამოუცხადა ომი, რომელმაც ნახევარ წელიწადს გასტანა. ესპანიამ ძლივ-ძლივობით აჯობა მაროკოს: მას 50 ათასი ჯარის-კაცის გაგზავნა დასჭირდა მაროკოში; ამას გარდა საფრანგეთმაც დიდი დახმარება გაუწია ესპანიას. საზავო ხელ-შეკრულობის ძალით, მაროკომ 40 მილიონი მანეთი გადაუხადა კონტრიბუციად ესპანიას, მაგრამ სამფლობელო კი არ დაუთმო.

ასეთმა დიდმა კონტრიბუციამ ძლიერ აავლო მაროკოს ხალხი როგორც ესპანიის წინააღდეგ, ისე თავის სულთნის წინააღმდეგაც, რადგან სულთანი კონტრიბუციის გადახდის შემდეგ, იძულებული იყო გადასახადები მოემატებინა თავის ხალხისთვის. მას აქეთ რიფიოტები სხვა კაბილებთან ერთად არა ერთხელ აუჯანყდნენ სულთანს. 1891 წელს კაბილებმა მეტად ძლიერი აჯანყება მოახდინეს; რიფიოტებმაც მონაწილეობა მიიღეს ამ აჯანყებაში, მაგრამ მათ სულთნის ჯავრი ესპანელებზე ამოიყარეს: ისინი უცებ დაეცნენ მელილას ახლო ესპანიელთა მოწინავე რაზმებს, დიდი ზარალი მისცეს მათ და და თვით მელილას გუბერნატორი გენ. მარგალიო მოჰკლეს. მამაცმა რიფიოტებმა მხოლოდ მის შემდეგ დაიხიეს უკან, როდესაც ესპანიიდან ძლიერი მაშველი ჯარი მოვიდა. მაროკოს სულთანი მულეი-ჰასანი იძულებული იყო 9 მილიონი მანეთი გადაეხადა ესპანიისთვის; ამას გარდა იგი ესპანიას დაჰპირდა რიფიოტების დასჯასაც. სულთანმა რიფის მთებში გაგზავნა დამსჯელი ექსპედიცია, რომელმაც სასტიკად დასაჯა რიფიოტები და 9 მილიონი კონტრიბუციაც მთლად მათ გადაახდევინა.

ამ დასჯამა და ფულის გადახდამ უფრო გაამწვავა მამაც მთიულების სიძულვილი ესპანიელებისადმი. წავიდა თუ არა სულთნის ჯარი, რიფიოტებმა მაშინვე ხელახლად დაიწყეს ყაჩაღობა ზღვაში, თუ ხმელეთზე. 1896—1897 წლებში რიფიოტების შესაშინებლად ზღვაში დიდი დემონსტრაცია მოახდინეს საფრანგეთისა, ესპანიისა, ინგლისისა და გერმანიის სამხედრო გემებმა, მაგრამ უკვე 1901 წლიდან რიფიოტებმა ისევ ძველებურად დაიწყეს ყაჩაღობა.

ბოლოს დროს რიფიოტების სიძულვილი ესპანიელებისადმი უფრო და უფრო გამწვავდა იმის გამო, რომ ესპანიის მთავრობამ მოინდომა ეკონომიურად დამორჩილება მაროკოსი. სხვათა შორის ერთმა კერძო ესპანიელმა საზოგადოებამ კონცესიით აიღო სპილენძის მადნები მელილას ახლო რიფიოტების მთაში და რკინის გზის აშენებას შეუდგა მელილიდან მადნამდე, რომელიც რიფიოტებს თავიანთ საკუთრებად მიაჩნიათ.

რასაკვირველია, ესპანელების ასეთმა მოქმედებამ ძლიერ გააგულისა რიფიოტები, რომლებიც მხოლოდ საბუთს ელოდნენ, რომ ესპანელების წინააღდეგ ომი დაეწყოთ. (რ. ს.)

# რუსეთი

✦ **პოლონეთში.** „რეჩ"-ს ვენიდან დეპეშით ატყობინებენ: გაზეთები სწერენ, რომ მთელ პოლონეთის ახალგაზრდობას კრება ჰქონდა. კრებამ დაადგინა, ბოიკოტი გამოუცხადოს რუსეთის სკოლებს პოლონეთში.

✦ **„იოანიტები"** ამ რამდენიმე ხნის წინედ პოლიციამ იოანნიტებს (იოანნე კრანშტანდელის მიმდევრები) პეტერბურგში 117 ბინეში წაართვა, მათ შორის 25 ქალიშვილია. რუსეთის გაზეთების სიტყვით 25 ქალიშვილიდან 12 გახრწნილი აღმოჩენილან. ქალიშვილები შეუმოწმებია ექიმ ქალს. საქმის გამოძიებას შესდგომიან. ბავშვები 10—12 წლისანი არიან.

✦ **„მთავარ-ანგელოზ მიხეილის კავშირი".** „კასპი" პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: „აღარ მოქმედებს „მთავარ ანგელოზ მიხეილის კავშირი". მიზეზი-სახსრის უქონლობაა". ეს კავშირი დააარსა „ცნობილმა" პურიშკევიჩმა.

პეტერბურგში დახურულა პურიშკევიჩის მიერ დაარსებული მუშათა კავშირი.

✦ **რეინბოტის წერილები.** მოსკოვის ყოფილ გრადონაჩალნიკ „ცნობილ" გენერალ რეინბოტს უკვე შეუდგენია და სადაც ჯერ არ წარუდგენია სამი წერილი. თავის წერილებში რეინბოტი ამტკიცებს, რომ სენატორ გარინის მიერ წამოყენებული ბრალდებები ყოველივე საფუძველს არიან მოკლებულნიო. ამას გარდა რეინბოტს განუზრახავს სამართალში მისცეს მოსკოვის კლუბების ანტრეპრენიორები.

✦ **ექსკურსანტები ეგვიპტეში.** ეს რამდენიმე ხანია, რაც კასპარიანცის ხელმძღვანელობით, ეგვიპტეში გაემგზავრა სოფლის მასწავლებელთა და მასწავლებელ ქალთა ერთი ჯგუფი. ექსკურსანტებს ფული უკვე ალექსანდრიაში შემოლევიათ. ამის შემდეგ კასპარიანცს უარი განუცხადებია, ხელმძღვანელობის ვეღარ გავიწევთო. ექსკურსანტები ძალიან ცუდ მდგომარეობაში არიან თურმე. მოსკოვში ზოგიერთ პირს ექსკურსანტებისაგან დეპეშები მოსვლიათ, გვიშველეთ რამეო.

✦ **გაზეთების დაჯარიმება.** „რეჩი" იუწყება: 14 ივლის დააჯარიმეს შემდეგი პროვინციალური გაზეთები: „ცარიცინსკი ვესტნიკ"—500 მანეთით, „გოროდ ი დერევნია" (ცარიცინში გამოდის)—500 მანეთით, „სარატოვსკი ვესტნიკ"—600 მანეთით, პოლიტიკური ყოველ-კვირეული ჟურნალი—კიევში—100 მანეთით. ამას გარდა დაუხურიათ ის სტამბა, სადაც „გოროდ ი დერევნია" იბეჭდებოდა.

✦ **ამდროული სტატისტიკა.** „რეჩი"-ს სიტყვით ივნისში სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტიათ 123 კაცისთვის, აქედან: ეკატერინოსლავში 21, ვარშავაში 19, ხარკოვში 14, ტამბოვში 9, კიევში 9, ჩერნიგოვში 8, ელისავეტოგრადში 8, ტფილისში 6, მოსკოვში 6, კავკავში 5, ეკატერინბურგში 5, პეტერბურგში 3, რეველში 3, კამენეც-პოდოლსკში 3, ბაქოში 2, ნოვოროსიისკში 2, ოდესასა, პსკოვსა, ქუთაისში და სხვა-გან თითო კაცისთვის. სულ ამა წლის პირველ ნახევარში სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტიათ 739 კაცისთვის. სიკვდილით დაუსჯიათ 347 კაცი.

ამავე ხნის განმავლობაში ადმინისტრაციას გაზეთები 47,675 მანეთით დაუჯარიმებია.

✦ **პოლიტიკური გადასახლებულების მდგომარეობა.** „რეჩ"-ს ვოლოგდიდან ატყობინებენ: ვოლოგდის გუბერნიაში 2,000 კაცზე მეტია გადმოსახლებული. მათი მდგომარეობა უმეტეს შემთხვევაში აუტანელია. ადმინისტრაცია ხომ ყველა მოლოდინს აჭარბებს. ქალაქ უსტ-უგში ადმინისტრაციამ განცხადება გააკრა, განცხადებაში ნათქვამია, გადმოსახლებულებმა ტუსაღთა მატერიისგან უნდა შეიკერონ ტანისამოსი და ამდენი და ამდენი ღილი უნდა დაიკერონო; უფლება არა აქვთ თეატრებში იარონ, ერთ სახლში 2—3 კაცზე მეტმა იცხოვრონო და სხვა. ამას ზედ დაუმატეთ უსახსრობა, ხშირად ცარიელა პურის უქონლობაც კი და დარწმუნდებით, რომ გადასახლებულების მდგომარეობა მართლაც, რომ აუტანელია.

# უცხოეთი

**ესპანიელების დამარცხება მაროკაში.**

მელილიდან საშინელი ამბები მოდის. ესპანიელები თურმე ყოველ დღე მარცხდებიან. მათ მეტად დიდი ზარალი მოსდით, მეტადრე მათ აფიცრებს. კაბილების განუწყვეტელი იერიში და მათი საოცარი თავგანწირულება შიშსა და ზარსა სცემს ესპანიელებს. ზოგიერთი რაზმი თურმე თხოულობს: საბრძოლველად არ წავალთ, თუ წინ აფიცრები არ გაგვიძღვებიანო.

13 ივლისს ბრძოლის დროს კაბილებს მთლად გაუნადგურებიათ ესპანიის რაზმი, იმ დღეს ესპანიის ჯარს ერთი მეხუთედი დაჰკლებია. ერთს პოლკში მარტო ერთი პოდპოლკოვნიკი გადარჩენილა ცოცხალი.

ესპანიის სამხედრო მინისტერმა გამოუცხადა კორესპონდენტებს, რომ ესპანია არ დაჰკარგავს იარაღს, სანამ კაბილებს არ დაამშვიდებსო. გენ. მარინას, მელილას ჯარის მთავარ-სარდალს მალე მივაშველებთ ჯარსაო.

**რევოლიუცია ისპანიაში.**

მთელ-ესპანიაში სამხედრო წესები გამოცხადებულია. სამხედრო მინისტრის ბრძანებით, მხოლოდ მადრიდში მყოფი უცხოელი კორესპონდენტები არ ექვემდებარებიან ამ წესებს. პროვინციაში მყოფი კორესპონდენტებს-კი არ მიეცათ ეს შეღავათი.

მადრიდიან ატყობინებენ გაზ. „ნ. ფრ. პრესე"-ს, მთელი ესპანია აიშალა. ყველგან სისხლიანი ბრძოლაა გაჩაღებული ხალხსა და ჯარს შორის. მუშებმა საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს, პროტესტის ნიშნად ომისა და პრესის შევიწროების წინააღმდეგ. ბურჟუაზიაც მონაწილეობას იღებს ბრძოლაში. აღებ-მიცემობა და სხვა საქმეები მთლად შესწყდა. რევოლიუციონერები თავს ესხმიან რკინის გზის მატარებლებს, რელსებს ჰგლეჯენ, ტელეგრაფის მავთულებს სჭრიან, ბევრგან ჯარმა თოფი არ ესროლა ხალხს.

**საუბარი მაროკოელთან.**

„რუს. სლოვო"-ს კორესპონდენტს მაროკოს საქმეებზე უსაუბრია ბერლინის უნივერსიტეტის ცნობილ პროფესორთან აბდულ-ბეკერთან. ბეკერი წარმოშობით მაროკოელია, კარგად აქვს შესწავლილი მაროკოსი და საზოგადოთ აფრიკის საქმეები და გულწრფელად უყვარს თავისი სამშობლო. პროფესორს უთქვამს:

— მე ძლიერ მაშფოთებს ევროპიელების ბარბაროსობა! განა შეიძლება სხვა სახელი მოვუძებნოთ ეგრედ წოდებულ ევროპიელ კულტურტრეგერების (ე. ი. რომის განათლების გამავრცელებლების) მოქმედებას! მიაქციეთ ყურადღება, თუ რას სჩადიან ბოლოს დროს ევროპიელები უბედურ მაროკოში. იმის გარდა, რომ მაროკოს ისე უცქერიან, როგორც ომით დაპყრობილ ქვეყანას, იქაურ ხალხის დამონავებასაც ცდილობენ. არღვევენ იქაურ ყოფა-ცხოვრებას, ერევიან ადგილობრივ საქმეებში და სასტიკად იგდებენ თითქმის ყველაფერს, რასაც მაროკოელები საუკეთესოდ სთვლიდნენ. შრომის მოყვარე, მართლის მოყვარე და გამრჯელ ხალხს უნერგავენ სრულიად მისთვის უცხო და გაუგებარ ევროპიულ ჩვეულებებს და აზრებს. რაღა გასაკვირველია, რომ იმ ხალხს, რომელიც გაზრდილა სულ სხვა პირობებში, რომელსაც აქვს განსაკუთრებული კულტურა და ჰყავს თავისი მეცნიერები, ფილოსოფოსები და პოეტები, ჭკუაში არ მოსდის უცხოელების ბატონობა, მით უმეტეს, რომ ეს უცხოელები უცქერიან მას, როგორც დაბალ მდგომის წარმომადგენელს; ამას დაუმატეთ ევროპიელ სვაჭრების მოურიდებელი მტაცებლობა და უსაზღვრო მადა და თქვენ გაიგებთ, თუ რადა სძულთ მაროკოელებს ევროპიელები. ამას გარდა, ევროპიელები ყოველ დღე შეურაცხყოფას აყენებენ მაროკოელების სარჯულო ჩვეულებებს და ადათს. სამწუხაროდ, ხალხი ჯერ ითმენდა ამ შეურაცხყოფას, მაგრამ როდესაც ევროპიელებმა ყელში წაუჭირეს, მაროკოელებმა ვეღარ მოითმინეს და იარაღს სტაცეს ხელი. აი, თუნდ ესპანელები ავიღოთ, რა უნდათ ესპანიელებს?.. ორას წელიწადზე მეტია, რაც მათ უჭირავთ მელილა, ცეუტა და სხვა ნავთ-სადგურები და მაინც ვერ შეეჩვივნენ ადგილობრივ ამბებს და მეთაურ მთიულებს. ესპანიელებმა საკატორღოდ ადგილად გადააქციეს მელილას მიდამოები, ესპანიის ხალხის ნაძირალებს გზავნიან იქ და თხოულობენ, რომ მთის ამაყი შვილები, რომლებიც თავიანთ საკუთარ მთავრობის წინ არ იხრიან ქედს, ამ ნაძირალებს ემორჩილებოდნენ. ამის გამო განა ცოტა სისხლი დაიღვარ?

მაგრამ ეხლა ესპანიელებს, ეტყობა, სულ სხვა უდევთ გულში. მათ უნდა ახალი კოლონიების, ახალ სამფლობელოს დაპყრობა. ევროპის ნებართვით, ისინი აპირებენ მთელს ჩრდილოეთ მაროკოში ზღვის სანაპიროების დაპყრობას. მაგრამ ვშიშობ, რომ ესპანიის ახალი განზრახვა გამარჯვებით დასრულდეს. ბევრი სისხლი დაიღვრება, ხალხი ათასობით დაიღუპება და მხოლოდ დრო გვიჩვენებს, თუ ვინ გამოვა გამარჯვებული. მართალია ჩემი თანამემამულეები მცირენებიან, მაგრამ გულის ტკივილით ვუცქერი უბედურ ესპანიასაც, რომელიც დიდ უბედურებას იმზადებს. ეჰაა, იქნება ესპანია კიდევ გონს მოვიდეს.

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! თქვენის გაზეთის მე-15 ნომრის ახალ ამბებში, პოლიციის ცნობებში მოთავსებული იყო რომ 13 ივლის დააპატიმრეს ყალბი ფულის მოჭრისათვის ნიკოლოზ ქავთარაძე, ამიტომ ნება მიბოძეთ, თქვენის გაზეთის საშუალებით ვაუწყო საზოგადოებას, რათა შეცდომაში არ შევიდეს, რომ ჩემის გამოკვლევით დაპერილი არის სენაკელი აზნაური ნიკოლოზ სპირიდონის ძე ქავთარაძე და არა მე.

ვთხოვ სხვა რედაქციებს, გადაბეჭდონ ეს წერილი.

ნიკოლოზ ივანეს ძე **ქავთარაძე.**

—

ვინც ჩემ მიერ გაზეთ „დროების" მე-109 ნომერში მოთავსებული „პატარა ამბავი" და შემდეგ ამავე გაზეთის მე-128 ნომერში მ. მაწუკატოვის საპასუხო წერილი წაიკითხა, ადვილად მიჰხვდება და ვისკენაა სიმართლე, თუნდაც მის მიერ მოყვანილი არგუმენტები სრულ ჭეშმარიტებად მიიღო, მ. მაწუკატოვი უარს არა ჰყოფს, რომ მის მიერ დასაკუთრებული სახლში აშენებულია ყალამშულებისაგან მათსავე საკუთარს ადგილზე, მხოლოდ ამ ადგილის საკუთრებას ასაბუთებს იმით, რომ **მოძღვარმა მ. ი. მანსვეტოვმა ორი მღვდლის და მრევლისაგან სამი კაცის დასწრებით ასწერა** მ. ს. მამისაგან დარჩენილი **სარჩო-საბადებელი და მათ შორის სახლებიც.** პატივცემულ მ. მაწუკატოვის აზრით თავი და თავი ეს აღწერაა. რაც შეეხება იმას, ვის ადგილზე ან ვისგანაა აშენებული ეს სახლი, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და ამიტომ არც არის სახსენებელი. რომელია ამ ორ საბუთში **თავი,** ამის გარჩევა მკითხველისთვის მიმინდვია.

დასასრულ, ნება მიბოძეთ, მ. გიორგი, თქვენის წერილიდან ორი სიმართლეს მოკლებული ადგილი ვამცნო მკითხველს. თქვენ ბძანებთ, რომ მოპირდაპირეებს მხოლოდ სასამართლოში შეხვდით, მაშასადამე, წინად მათ ვერც ვაემუქრებოდით. ერთი ეს მიბრძანეთ, მაშ ის ბარათი, **რომელმაც დაამტკიცა მოწმების ჩვენება,** როდისღა მიიღეთ ყალამშულებისაგან?! უეჭველია, სასამართლოში შეხვედრის წინ! მაგრამ ეს არაფერი. მე თქვენის სიტყვებიდანვე იმასაც დაგიმტკიცებთ, რომ სასამართლოში არავითარ მოპირდაპირეს არ შეხვედრიხართ. თქვენ სწერთ, რომ: **საზოგადოების მხრით იყვნენ ლევან დონდარაშვილი, გიგა ციხელაშვილი და მამასახლისი ნიკოლოზ შეგდარაშვილი, რომელთაც დაამტკიცეს, რომ სახლი ჩემი საკუთრებაა და მისი ქირა ღირს თვეში ათ მანეთად. მოსამართლემაც მოწმების ჩვენებით გადასწყვიტა საქმე.** უკანასკნელ სიტყვებიდან სჩან, რომ ზემოდ დასახელებული სამივე პირი თქვენი მოწმენი ყოფილან. მაშ სადღა არიან მოპირდაპირენი?! „იყვნენ, მაგრამ ბუამ შეჭამაო", ასე რომ ბრძანოთ, მაშინ მხოლოდ ბავშვები დაგიჯერებენ, და მოზრდილებს კი ასე სჯობია ამცნოთ: „კიდეც იმიტომ ვაძრობ ასე არხეინად ყალამშულებს ტყავს, რომ მათ ჩემთვის წინააღმდეგობა ჯერ არ გაუწევიათ"-თქო. **დ. ძეძამიძე.**


# განცხადებანი

## მატარებლების მიმოსვლა
(18 აპრილიდან)

ფრჩხილებს გარედ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში ტფილისისა.

**ტფილისიდან გადის**

**ბათუმისაკენ:** 1) ჩქარები N 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

**ბაქოსაკენ:** 1) სამგზავრო N 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო N 4, საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

**ბორჯომამდე:** 1) სამგზავრო N 7/8, დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო N 9/10. ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

**ჯულფამდე:** საფოსტო N 74/75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 ს. 44 წ.),

**ერევნამდე:** სამგზავრო და საქონლ. N 78/79, ნაშუადღევ. 4 ს. (4 ს. 58 წ.)

**მცხეთამდე:** მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა-უქმეებში—1) საავარაკო N 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).
2) საავარაკო N 77 ა, ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

**ტფილისში მოდის**

**ბათუმიდან:** 1) ჩქარები N 2, დილის 8 ს. 38 წ. (9 ს. 36 წ.),
2) საფოსტო N 4, საღამ. 9 ს. 40 წ. (10 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 5 ს. 50 წ. (6 ს. 48 წ.).

**ბაქოდან:** 1) სამგზავრო N 11, დილის 9 ს. 47 წ. (10 ს. 45 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 7 ს. 8 წ. (8 ს. 6 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.).

**ბორჯომიდან:** 1) სამგზავრო N 7/8, დილის 6 ს. 46 წ. (7 ს. 44 წ.).
2) სამგზავრო N 9/10, საღამოს 8 ს. 4 წ. (9 ს. 2 წ.).

**ჯულფიდან:** საფოსტო N 72/73, დილის 5 ს. 28 წ. (6 ს. 26 წ.).

**ერევნიდან:** სამგზავრო და საქ., ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.).

**მცხეთიდან:** მხოლოდ კვირა-უქმეებსა და კვირა-უქმეების წინა დღის—საავარაკო N 76 ა, ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.). საავარაკო N 76, საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.).

## იძლევა იჯარით

თავ. ს. ს. ამირაჯიბის მამული ს. სალოლაშენში ხუთი ვერსის სიშორეზე სად. ქარელიდან: ვენახი, საბოსტნე ადგილი, სახნავი მამული 50 დესეტინა, თუნდა მეტიც, წისქვილი ორი თვალით და ყოველი საოჯახო შენობა თავის მოწყობილობით.

დაწვრილებით ცნობებისათვის მსურველმა მიმართოს: სავაჭრო სახლი კ. ვ. კალანტაროვს, გოლოვინის პროსპექტი, სახლი ქვაშვეთის ეკლესიისა. (2—ელ.—1)

## პირველი კერძო სამკურნალო დოქტ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაზანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. ვაჟებით და ქალებისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევა. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ.—1—133)

## თავ.-აზნაურთა სახლთან

სასახლის ქუჩაზე იყიდება: დიდი პარტია **ბაგეტებისა,** ძველი **დარაბები და ჩარჩოები** მაღაზიებისა, კარებები და ფანჯრის ჩარჩოები და სხვა ნივთები.

იქვე იძლევა ქირით სადგომები **მაღაზიებისა, კანტორებისა და საწყობებისთვის.**

მსურველმა უნდა მიმართოს მამულის გამგეს კანტორაში, რომელიც იმავე სახლშია მოთავსებული. (3—393—3)

## კანტორა და საწყობი „სპერმატინისა" და „ალმეზისა"

გადავიტანე ვორონცოვის ძეგლთან, ნეკრასოვის ქუჩაზე, № 14.
(30—6.—30) **ი. ახობაძე.**

## ◀ სიკვდილი ▶ ბაღლინჯოებს!

ახალი საშუალება „კლოპოვინი", რომელიც სპობს ბაღლინჯოებს და მის კვერცხებს სულ ერთ წუთში, რისთვისაც პირობას ვაძლევ. ჯერ არა ყოფილა ამ გვარი ძვირფასი წამალი.

დარიგება თან ახლავს ფლაკონს. ფასი 35 კ. უგზავნით მსურველთ ფასდადებით. მოიკითხეთ „კლოპოვინი" ახობაძისა. მთავარი საწყობი ტფილისი, ნეკრასოვის ქუჩა, № 14 და ვორონცოვის ძეგლთან. რათა სიყალბე არავინ ჩაიდინოს, კლოპოვინი იყიდება მხოლოდ ჩემ მაღაზიაში ტფილისისთვის. (15—ახ.—12)



ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ „Кайзеръ"

## ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის მაღაზია ქ. ქუთაისში.

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ"-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, კერვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბ ს გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

**ა დ რ ე ს ი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—6—55)


სტამბა „სინათლე" რუსის ქუჩა № 3. რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.